მაისი
1939 წ.
№ 157
პარიზი

# დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante
Revue mensuelle
MAI
1939 — № 157
Paris

ე რ ო ვ ნ უ ლ ი   ე რ თ ო ბ ი ს   ო რ გ ა ნ ო

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—მე-21 წელი.
ალ. ასათიანი—26 მაისის დროშა.
ივ. ჭავჭანიძე—26 მაისი.
ილია ნუცუბიძე—ეროვნული ფიქრები.
რ. ინგილო—დიდთა ჭიდილი და პატარათა ბედი.
ს. ფირცხალავა—მესხეთი.
ბოლშევიკების მუშაობა ესპანიაში.
ქართველ ემიგრაციის საყურადღებოდ.
ქართველები საფრანგეთში.
უკრაინული კონცერტი. და სხვ.

## მ ე - 2 1   წ ე ლ ი

დამოუკიდებელი საქართველოს შობის ამ მე-21 წელს ჩვენი გაზეთი, რომელიც შემთხვევით როდი ატარებს ამავე სახელს, იგეთივე ღრმა რწმენითა და იმედებით ეგებება ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს, როგორითაც შეეგება მას, 26 მაის 1918 წ., მთელი ქართველი ერი. ეს დღესასწაული დიად ტრადიციად იქცა ჩვენთვის. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი იმავე დროს ბრძოლის ყიჟინიცაა აწმყოში ქართველი მოდგმის მამულიშვილთათვის.

და რომ ეს ასეა, ამის მჭერმეტყველი მაჩვენებელი ის შეუპოვარი წინაამდეგობა და სისხლიანი ბრძოლებია, რომელსაც უწევდა და უწევს ჩვენი ერი შემოსეულ მტერს. ვინ მოსთვლის, რამდენი ქართველი შეეწირა მსხვერპლად ქვეყნის განთავისუფლებას! რამდენ ტანჯვა-ვაებას და ცარცვა-განადგურებას განიცდიან ცოცხლად დარჩენილნი! ჩვენი ერის მარტიროლოგია ერთობ გრძელია, მაგრამ დღევანდელი მისი წამება აჭარბებს წინანდელს თავისი ვერაგობითა და სიფლიდით.

მიუხედავად ამისა, ვერავინ იტყვის, თვით მტერიც ვერ ბედავს იმის თქმას, რომ ქართველი ერი გატყდა, ქედი მოიხარა და შეურიგდა თავის მწარე ბედს. არა, ის კიდევ უფრო შეურიგებელი გახდა, მამაცი, ურყევი, გმირი. ჩვენ ბედნიერება გვქონდა გაგვეგო ორიოდე კვირის წინ ერთი დიდი ქვეყნის პასუხისმგებელი პირისგან, რომელსაც მოევლო საბჭოთა კავშირი, რომ ქართველები თავისი არაჩვეულებრივი სიმტკიცით გამონაკლისს წარმოადგენენ სხვა ერთა შორისო.

ჩვენ წინედაც აღგვინიშნავს აქ ეცხოვლების ასეთი შთაბეჭდილება და არ გაგვკირვებია. რატომ? იმიტომ, რომ ქართველის ბუნება და ხასიათი ნაყოფია მისი მდიდარი ისტორიული წარსულისა და, შეიძლება ითქვას, მისი არსებობის კიდევ უფრო ადრინდელი ხანისა, როცა მას ჯერ კიდევ არ ეჭირა დღევანდელი ტერიტორია კავკასიის შუაგულ. მაგრამ ძველი რეჟიმის უკანასკნელ ათეულ წლებში ქართველი ერი გამოდის პოლიტიკურ ასპარეზზე სრულიად არაჩვეულებრივი გაბედულებით. შედარებით სხვა ერებთან, ის მართლა გაკვირვებას იწვევდა თავისი შეგნებით, დარაზმულობით, მწყობრი გამოსვლებით. ერმა, რომელმაც ეს პოლიტიკური სკოლა განვლო, რა თქმა უნდა, უფრო მომზადებული დახვდა რუსეთის ახალ უღელს და, მიუხედავად უკანასკნელის სიმძიმისა, ის არ ჰკარგავს წონასწორობას და არც სასოწარკვეთილებას ეძლევა.

პირიქით! ქართველი ერი, შედარებით, უკეთ ერკვევა არსებულ პირობებში, თვით საერთაშორისო რთულ ვითარებაში და აკეთებს აქედან თავის დასკვნას, რომელიც დიახაც არაა სასარგებლო დღევანდელი ბატონების ახლო მომავლისთვის. აიღეთ, თუ გინდ, ეხლანდელი მდგომარეობა. სტალინის დიქტატურამ რომ ვერ დაამყარა არა თუ სოციალიზმი, არამედ ვერც კი დაამძლო, ვერ შემოსა

და ვერ გაათბო 170 მილიონი მცხოვრები.—ეს ისეთი ხალასი ფაქტია, რომ თვით კომუნისტთა მე-18 ყრილობაც ვერ მალავდა მას. აქედან პოლიტიკური. ისე როგორც ეკონომიური კრიზისი ქრონიკულ სენად იქცა საბჭოთა კავშირში. ასე რომ რეჟიმის სტაბილიზაცია სრულიად გამორიცხული ხდება. რაც შეეხება საგარეო მდგომარეობას, მოსკოვისთვის არა ერთხელ გაუღიმია ბედს: ის იცნეს. ეხმარებოდენ საწარმოო იარაღებით, ინსტრუქტორებით. სესხებით. მაგრამ არ იქნა და ვერ გამოიყვანეს ნორმალური განვითარების ფართე გზაზე.

და მიუხედავად ამისა, ინგლისი მაინც ეძებს საბჭოებთან დაკავშირებას! და ეს იმის შემდეგ, როცა სტალინმა მუსრი გაავლო არმიის, ფლოტის და ავიაციის სარდლობას! როცა ის დაუზოგველად ჟლეტს სპეციალისტებს წარმოებასა და მართველობაში! როცა თავის პარტიაში ერთი გონიერი ადამიანი არ დასტოვა დაუხვრეტელი! რამდენადაც ვიცით, საბჭოთა შეიარაღებულ ძალებზე დიდი წარმოდგენის არ არიან დასავლეთის სამხედრო წრეები, მათი საომარი ღირებულება დაბლა ფასობს. ხოლო რაც შეეხება ეგრედ წოდებულ ზურგს. არავისთვის არაა საეჭვო. რომ ის ჩქარა დაირღვევა. რადგან დამონებულ ერთა გამწარება და შურისძიების წყურვილი მტარვალებისადმი უკიდურეს ზომას აღწევს.

მაგრამ მას შემდეგ. რაც ინგლისი შეუთანხმდა თურქეთს, არ არის შეუძლებელი, რომ ლონდონმა და მოსკოვმა მაინც შეკრან რამე პირობა. და ამის მთავარი მიზეზი იგივე შიშია, რაც 1932 წელს. როცა საფრანგეთმა და საბჭოთა კავშირმა ურთიერთი დახმარების პაქტი დასდეს,—ე. ი. ის შიში, რომ სტალინმა ბერლინისკენ არ გააშვიროს ხელი! მართლაც, აპრილის ბოლოს ამერიკაში გამოქვეყნებული გეპეუს ყოფილ მთავარი აგენტის გენერალ კრივიცკის ვრცელი გამომჟღავნებანი სრულიად ცხად ჰყოფენ «ქვეყნის მამის» ამ სასოწარკვეთილ ცდებს. განა მისი სიტყვა კომპარტიის ყრილობაზედ, მარტში, ამასვე არ მოასწავებდა: ინგლისი და საფრანგეთი ვერ შესძლებენ, რომ ჩვენ გერმანიასთან ომში ვიქნეთ ჩათრეულიო—ამბობდა ის. და აბა ვინ იცის სტალინის უკეთ, რას ნიშნავს საბჭოთა კავშირის გერმანიასთან შებმა: სრულს დამარცხებას და აქედან პირადად მის დაცემას!

არის ერთი დიდი დაბრკოლებაც. რომელიც ხელს უშლის საბჭოთა დაახლოებას დემოკრატიულ სახელმწიფოებთან: პოლონეთის და რუმინიის უარყოფითი პოზიცია. ცნობილია. ამ ორ სახელმწიფოს პაქტი აქვსთ საბჭოთა თავდასხმის წინაამდეგ და ეხლა კი მოუწოდებენ მათ ქები შეაბრუნონ და მოსკოვს დაუკავშირდენ... და თუ ომი ატყდა. წითელი ჯარებიც კი შეუშვან თავის ტერიტორიაზე!

ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია უფრო ვრცლად შევჩერდეთ ამ სახიფათო დიპლომატიურ თამაშზე, მით უფრო, სანამ მისი საბოლოო შედეგი არ გვეცოდინება. დავსძენთ მხოლოდ. რომ სტალინის ნამდვილი მისწრაფება მისმა კომინტერნმა გამოაქვეყნა: დასავლეთ სახელმწიფოთა ომის ალში გახვევა და საბჭოთა კავშირის განზე დგომა მანამდე, სანამ ისინი, დასავლეთის სახელმწიფონი, იმდენად არ დააუძლურებენ ერთმანეთს. რომ «მსოფლიო პროლეტარიატის ბელადმა» შესძლოს მათი თავის ბრძანებებისთვის დამორჩილება. ჩვენ, რასაკვირველია, უქმად მიგვაჩნია ეს ავადმყოფური ოცნება. ომმა თუ იფეთქა ხმელეთის მეექვსედი ვერ აცდება, ერთ-ერთ მის მთავარ ასპარეზად იქცეს. სხვა არ იყოს რა, როგორც ვიცით, ომის უმთავრეს ნადავლს სწორედ «ავადმყოფი კაცის» მემკვიდრეობის განაწილებიდან გამოელიან!

ამიტომ გვმართებს დიდი სიფხიზლე და გამჭრიახი მოქმედება. რომ ჩვენი ერიც არ გახდეს ვისმეს «ნადავლი».

ჩვენ ვდღესასწაულობთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-21 წელს იმ ისტორიულ დიდ გადატეხის ხანაში, როცა არა მარტო პატარა. არამედ დიდ ერებსაც უსაშინლესი ხვედრი მოელისთ, თუ მათ ვერ შესძლეს თავის ისტორიული მოწოდების სიმაღლეზედ დგომა.

ჩვენი ეროვნული ორგანო გამოსთქვამს თავის აღგზნებულ სურვილს, რათა ის პატარა ნავი, რომლის სახელი საქართველოა, უვნებლად გადაურჩეს ამ აბობოქრებულ საბედისწერო ტალღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 26 მაისის დროშა

ყოვლის მხილველ ქართულ მატიანეს მრავალი ღირსშესანიშნავი დღე აქვს აღბეჭდილი თავის ფურცლებზედ—დღენი გლოვისა და მწუხარების, დღენი სიხარულისა და ზეიმის. ისინი ღრმად არიან ჩაქსოვილი ჩვენი ეროვნული მეობის ყოველს სტეროში, სამარადისოდ მასთან შესისხლხორცებული, სამარადისოდ მისგან განუყრელი.

ერთი ასეთი დღე ჩვენმა ეპოქამაც შეჰმატა საქართველოს ისტორიას და ეს არის 26 მაისი.

მართალია, ერის მატიანე უფრო ცივია და თავდაჭერილი ცხოვრების მოვლენათა დაფასებაში, ვიდრე პიროვნება, რომლის მსჯავრი ხშირად ზერელე და წარმავალ განცდებზედ შენდება. ის ადვილად არ მიუჩენს მათ საბოლოვო ადგილს თავის ფურცლებზედ მაგრამ 26 მაისის გათენებიდან განვლილი დრო აღსავსეა ჩვენი ცხოვრების საფუძველიანი გარდატეხებით, ნგრევითა და რბევით, შეუპოვარი ბრძოლებითა და თავდადებით უამრავი მსხვერპლითა და ზვარაკით... ბევრი არ მოიპოვება ისეთი საუკუნე, რომელსაც ასე დამძიმებული შინაარსი ჰქონოდეს ერთა ცხოვრებაში. ამავე დროს ოცდაექვსი მაისი მოევლინა საქართველოს ისეთს დღედ, რომლის გაგებასა და დაფასებაში არ ყოფილა და არ არსებობს ჩვენს ერში არავითარი დავა და აზრთა სხვადასხვაობა. მას თავიდანვე მიეკუთვნა ღირსეული ადგილი ჩვენს მატიანეში და ცოცხალ თაობათა გულში, და მას ვერ წაშლის ჩვენი აწმყოს თუ მყობადის ავი თუ კარგი.

26 მაისი მოევლინა ჩვენს ერს, როგორც დღე გამარჯვებისა და ზეიმის. საუკუნოებრივ ბორკილებიდან თავდახსნილ ერისთვის ეს იყო თავისუფალი ეროვნული ცხოვრების პირველი სხივი. ეს იყო საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი არსებობის აღდგენის მოციქული და მახარობელი. ეროვნული თავისუფლეების დღეობა წინედაც არაერთხელ უხილავს ქართველ ერს თავის ხანგრძლივ ისტორიის მანძილზე, ისე, როგორც დღენი უცხოთა ბატონობისა, დღენი მწუხარებისა და გლოვის. მაგრამ 26 მაისი დიდად იყო განსხვავებული თავის სივრცითა და შინაარსით, დიდი მოვლენის გაგებითა და მის მიერ გამოწვეულ განცდით. წარსულში ნახულს შემოსევებს და უცხოთა ბატონობას არასოდეს დაუყენებია ქართველი ერის წინაშე მისი ეროვნული მეობის სრული აღგვისა და მოსპობის საშიშროება. ერთი მტრის ძლიერებას მეორის ძალა უპირდაპირდებოდა და სცვლიდა და მათი ბატონობის დრო და მანძილი დასაწყისიდანვე იყო ნავარაუდევი და ხილული. თვით შემოსეულთაც ნაკლებად სწამდათ თავის ბატონობის მარადისობა და მის მიხედვით თავის ძალას და გავლენას უცხო ქვეყნებში ამკვიდრებდენ ცხოვრების ზედაფენებზედ და გაურბოდენ ქვეყნის არსებობის ძირეულ საფუძვლების შერყევასა და წაქცევას. უცხოთა ასეთ ბატონობებს წარსულში გადაურჩა საქართველოს სამეფო, მისი ეკლესია, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების უმთავრესი ფუძენი და ხალხის სულიერი ცხოვრება, მისი ზნე და წესი. მეფის რუსეთმა და შემდეგ კიდევ მეტად წითელმა რუსეთმა, განიძრახეს ჩვენი ეროვნული ცხოვრების ყველა ამ დასაყრდენობთა დალეწა და დანგრევა და მით მრავალ საუკუნოვან სასახელო ისტორიის მქონე ერის უსახო და უსულო ბრბოდ გადაქცევა.

26 მაისია ჩვენი ეროვნული არსებობის ამ საშინელი განსაცდელისაგან განთავისუფლების სიმბოლო, საქართველოს სახელმწიფოებრივობის მკვდრეთით აღდგენის დროშაა.

ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად. და, გასაგებია, ის ერთსულოვანი სიხარული და ზეიმი, რომელიც გამოიწვია ქართველს ერში უდიდესი მზაკვრობისა და ბოროტების დათრგუნვამ და უფლებისა და სამართლის გამარჯვებამ და ბუნებრივია. იმდენად უფრო ძლიერი იყო ჩვენს ერში ეს სასიხარულო განცდა, რამდენად უფრო მზაკვრული და მდაბალი იყო «ერთმორწმუნე» რუსეთის საქართველოსადმი მოქცევა. შეუმარილად უხილავი და უმაგალითო იყო ის თვით საქართველოს ყოვლის მხილველ მატიანეში. წარსულში საქართველო იცნობდა ძალით, ცეცხლითა და მახვილით შემოსეულს მტრებს, რომელთაც ის ასევე ხვდებოდა თავის სამკვიდრო მიწა წყალზე. რუსეთი კი მოევლინა სისხლიდან დაცლილ ერს, როგორც მოკავშირე და მფარველი. თვით საქართველო-რუსეთის ამ კავშირის და მფარველობის პირობის დამყარებამდე რუსეთმა მრავალი ზვარაკი მიატანინა ქართველ ერს ამ მომავალ მეგობრობის სამსხვერპლოზე. მან კიდევ უფრო გაურთულა საქართველოს ძლიერ მეზობლებთან დამოკიდებულება და ჩააბა წმინდა რუსული მიზნებით ატეხილ ომებში. რუსეთმა განუმზადა საქართველოს ვახტანგ რჯულმდებელის ტახტის წაქცევა და მთელი მისი ოჯახისა და რამოდენიმე ათასი საუკეთესო ქართველის სამუდამოდ მშობლიურ სხეულის მოწყვეტა და რუსეთში

გადაკარგვა. ამას მოჰყვა შემდეგ ასპინძა, რომ ჩვენ სახელოვან პატარა კახსაც ვახტანგ მეფის ბედი სწვეოდა. ხოლო როდესაც ეს ვერ შესრულდა, უკვე საქართველო-რუსეთის ტრაქტატის დადების შემდეგ, რუსეთმა კვლავ შეუმზადა თავის მოკავშირეს მსგავსი ხვედრი. სპარსეთის აღამაჰმად ხანი შემოიჭრა საქართველოში მის დასარბევად რუსეთთან დადებულ ხელშეკრულობის გამო, აიკლო ქვეყანა. დაანგრია მისი დედა-ქალაქი, და ამ დროს რუსეთი მეფე ერეკლეს სწერდა, რომ პირობით განსაზღვრულ დახმარების აღმოჩენას ის «კეთილად და მიზანშეწონილად არ სთვლის»! რაღაა გასაკვირველი ამის შემდეგ, რომ რუსეთმა მთლად წააქცია უკვე ეგზომ შერყეული საქართველოს სახელმწიფოებრივი ტახტი, მოსპო საქართველოს ოც-საუკუნოვანი სამეფო, რუსეთში გადაკარგა სამეფო ოჯახი და სისხლიდან დაცლილი ქვეყანა თავის გუბერნიებად აქცია და თავის მოხელეებს ჩააბარა, წააქცია უძველესი ივერიის ეკლესია, მოსპო ქართული სწავლა-განათლება და ეროვნული ცხოვრების ყველა სხვა დასაყრდნობი!

კაცობრიობის მატიანეს მრავლად აქვს აღბეჭდილი თავის ფურცლებზე ძალმომრეობა და ერთის მეორისაგან დაჩაგვრა-დამონება. სამართლიანობის შელახვა და უსამართლობის პარპაში. მაგრამ არ ვფიქრობთ, მოიპოვებოდეს მსგავსი იმ გაუტანლობისა და მზაკვრობისა, რომელიც გამოიჩინა რუსეთმა მრავალ-წამებულ საქართველოს მიმართ. ხოლო ნემეზიდა ბრმაა, მაგრამ სამართლიანი. 26 მა მაისმა დაამარცხა ეს უნახავი უსამართლობა და მკვდრეთით აღადგინა რუსეთის მიერ დასამარებული საქართველოს სახელმწიფოებრივობა, და თან წაქცევისა და დანგრევის განსაცდელის წინაშე დააყენა ის იმპერია, რომელმაც მას ასეთი ბედი განუმზადა. 26 მაისი სიმბოლოა ამ უდიდესი მსჯავრისა და განკითხვის და ის საიმედო ვარსკვლავად უნდა მიიჩნიოს არა მარტო საქართველომ, სადაც ის ამობრწყინდა, როგორც მზე ეროვნული სამართლიანობისა, არამედ ყველა სხვა ერებმაც, ვინც ჰგმინავს ეროვნული მონობის უღელს ქვეშ და შეჰნატრის სამართლიანობის კვლავ გამარჯვებას.

26 მაისის ძლევამოსილობას ვერ დათრგუნავს და ვერ დაამარცხებს ის ბედი, რომელიც მას ეწვია წითელ რუსეთის ხელ-ახლად საქართველოში შემოჭრის შემდეგ. დღეს ის იარაღ-აყრილია და ხელ-ფეხ შებორკილი. მაგრამ ეს უხეში ძალა ვერ შეჰხებია და ვერ შეეხება 26 მაისის უმთავრეს ძალასა და ძლიერებას. ეს არის მისი ძალა სულიერი და ზნეობრივი. ქართველი ერი მუდამ სუსტი იყო სხეულებრივად შედარებით იმ მტრებთან, რომელნიც მას გამუდმებით თავს ესხმოდენ. ამ უთვალავ მტრებს ის ამარცხებდა თავისი სულიერი ძალის უტეხობითა და უდრეკელობით. ზოგი ჰფიქრობს, შესაძლოა, რომ ჩვენს დროში ბევრი რამ გამოიცვალა ამ მხრივ, მაგრამ ეს შემცდარი აზრია. მრავალია ახალი გარეგნულად ხალხთა ურთიერთობაში და ფრიად მცირეა ახალი მისს შინაარსში. ერთა განწყობილებაში, სუსტთა და ძლიერთა, დიდთა დამოკიდებულობაში ჩვენ არაფერს ვხედავთ ისეთს, რაც მრავალჯერ არ ეხილოთ ჩვენ წინაპრებს თავის ხანგრძლივი ისტორიის გზაზედ. ჩვენს დიდს ილიას ცეცხლის ასოებით აქვს ამოკვეთილი საქართველოს უმაგალითო ისტორიის ბუნება და ეს მისი სიტყვები ჩვენ მუდამ თან უნდა გვდევდეს. «რა არ გადაგვხედია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ, და ყველას გაუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილ-შვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს. მოგვსრნეს, მოგვქელიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანს და ურჯულოს, და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებიეთ.»

ასეთი იმედიანი ძლევამოსილობით შეჰმოსა საქართველოს დროშა დიდმა ილიამ, რუსეთის მონობის შავ-ბნელ დროში, 26 მაისის გათენებამდე ოცდაათი წლით ადრე. ვინ აღმოჩნდება ეგზომ სულ მოკლე რომ ნაკლები რწმენა და იმედი იქონიოს ამის 26 მაისის ამობრწყინვების შემდეგ, მისთვის ბრძოლისა და თავდადების ხანაში?

ალ. ასათიანი.

# 2 6 მ ა ი ს ი

26 მაისი არის საქართველოს ახალი ისტორიის უმნიშვნელოვანესი თარიღი

გასული საუკუნის განთიადზე რუსეთის თვით მპყრობელმა მეფემ ალექსანდრე პირველმა დაადასტურა შეშლილი პავლე პირველის ვერაგული აქტი და რუსეთის პროვინციად გამოაცხადა მოკავშირედ მონდობილი საქართველო.

შეწყდა მრავალ საუკუნიან ისტორიის და ბრწყინვალე სახელმწიფოებრივ ტრადიციების მქონე საქართველოს დამოუკიდებელი ცხოვრება. მამაც ქართველ ერს, რომელმაც საუკუნოების განმავლობაში გმირული თავდადებით გაუძლო ველურ ურდოების შემოსევებს და შეინახა, როგორც თავისი ეროვნული სახე და მეობა, ისე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, კისერზე დაედგა ეროვნული ჩაგვრის უღელი. რაც ვერ შესძლო აშკარა მტერმა, ის მოახერხა ფლიდობით და მოცემულ პირობის უსირცხვილო დარღვევით მფარველად და მოკავშირედ მიჩნეულმა რუსეთმა.

ამ დღიდან იწყება ის საშინელი ტრაგედია, რომელსაც ეწოდება რუსეთის ბატონობის ხანა. საქართველოს მისი სვე-ბედის გამგებლებად პეტერბურგმა წარმოუგზავნა კრიმინალურ საქმეებით ცნობილნი კნორინგები და სამშობლო ქვეყნის მოღალატე ციციანოვები. ალექსანდრე პირველის მიერ თაღლითურად დანაპირებ მშვიდობიანობისა და მფარველობის ნაცვლად კნორინგებმა მოიტანეს ძარცვა-გლეჯა უამისოდაც განაწამებ და დაბეჩავებულ მოსახლეობისა; ციციანოვებმა რუსეთის შორეულ ქვეყნებში გადაასახლეს თავდადებულნი მამულიშვილები და ის პატრიოტი წარჩინებულნი, რომელთაც შეეძლოთ ხმა აღემაღლებიათ და ახალ უბედურებაში ჩავარდნილ ქვეყანას გამოსარჩლებოდენ.

ამუშავდენ ჯოჯოხეთური ძალები ქართველი ერის გასარუსებლად, მისი ეროვნული სახის წასაშლელად, მისი კულტურის მოსასპობად. რეპრესიული ზომები და დაშინება ერთი მხრით, ფულით თუ ჩინ-ორდენებით მოყიდვა მეორე მხრით. აი ის სიბრძნე რუსული მმართველობისა, რომელიც მეთოდურად და სისტემურად წიწკნიდა ქართველი ერის სულსა და გულს.

სკოლებიდან გაიდევნა. არა მარტო საქართველოს ხსენება, არამედ ქართული ენაც; ქართულ ენას არ იწყნარებდენ ეკლესიებშიც კი. ქართველ ინტელიგენტისთვის თანდათან გაჭირდა თავის ქვეყანაში სამსახურის შოვნა: საქართველო გაივსო რუსის ეროვნების მოხელეებით, რომელთა უმრავლესობა უნიჭობისა და უვარგისობის გამო შიდა რუსეთში გამოუსადეგრებად იყვენ მიჩნეულნი. ეროვნულ-პოლიტიკურ ჩაგვრას თან ახლდა ეკონომიური რეპრესიებიც. ვაჭრობა მრეწველობა, ყოველივე ინიციატივის გამოჩენა ეკონომიურ დარგში გაძნელებული იყო ადმინისტრატიული ღონისძიებებით. საქართველო მიჩნეული იყო ნედლი მასალის კოლონიალურ ქვეყნად; იგი სავსებით დამოკიდებული იყო შიდა რუსეთის სამრეწველო ცენტრებისაგან.

თითქმის ას ოცი წლის მანძილზე გრძელდებოდა ეს ბოროტი საქმიანობა; მეფის რუსეთის მესვეურთ სამუდამოდ გათავებულად მიაჩდათ ქართველი ერი, როგორც ეროვნული ერთეული. მაგრამ ქართველ ერს აღმოაჩნდა უხილავი ძალით შენახული უკვდავი ეროვნული სული და განსაცვიფრებელი გამძლეობა. როგორც კი შეირყა რუსეთის იმპერიის სიძლიერე, ქართველი ერი უმალ ფეხზე დადგა. წელში გაიმართა და მაღლა ააფრიალა ეროვნულ განთავისუფლების დროშა,—წოდებული ამიერიდან 26 მაისად.

აქედან იწყება საქართველოს ისტორიის ახალი თავი, რომლის პირველ გაერდზე თავისუფლების ცეცხლით გაშუქებულ ასოებით არის აღბეჭდილი:

«უკვდავია ქართველი ხალხის ეროვნული სული, მტკიცე და ურყევია მისი ეროვნული ნებისყოფა. საქართველო არსებობდა, არსებობს და იარსებებს მარადის და უკუნითი უკუნისამდე».

მთელი ქართველი ერი, განურჩევლად წოდებისა და სოციალური მდგომარეობისა, თავის ირგვლივ შემოიკრიბა 26 მაისის დროშამ. გაცოცხლდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ტრადიცია, აღსდგა ქვეყნისა და ერის სუვერენობა, აღსრულდა საქართველოს დიდ მამულიშვილთა საოცნებო ნატვრა... საქართველო საერთაშორისო ოჯახში შევიდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

მაგრამ ერთხელ კიდევ უმტყუნა მას ბედმა.—იგი კვლავ ჩავარდა ეროვნულ მონობაში. დღევანდელი მისი მტერი თავისი სისასტიკით უმაგალითო მოვლენაა. მისი საქმიანობა, მისი ექსპერიმენტები ფიზიკური განადგურებით ემუქრება მთელ ერს. მიუხედავად ამისა ის ხელიდან არ უშვებს 26 მაისის დროშას და განსაცვიფრებელი სიმტკიცით განაგრძობს ბრძოლას. ამ დროშის ირგვლივ თავის მოყრით და გაერთიანებით ქართველი ერი იმედოვნებს, სძლიოს ყველა დაბრკოლება და სამუდამოდ დააღწიოს თავი ეროვნულ ჩაგვრის მძიმე უღელს. ეროვნული მთლიანობა, ყველა სასიცოცხლო ძალების 26 მაისის დროშის ქვეშ დადგომა განსაკუთრებით საჭირო და მიუცილებელია საერთაშორისო გართულების დღევანდელ ხანაში.

დღეს 26 მაისი განმათავისუფლებელ ბრძოლის დროშაა, ხვალ ის გახდება ბრწყინვალე გამარჯვების დროშა.

ივ. ჭავჭანიძე.

# ეროვნული ფიქრები

## მაისი.

დღეს მაისია, თვე სიხარულის, სილამაზის და სიყვარულის. ყველა ხარობს, ლიტონიობს უსულო და სულიერი.

აქ, ბუჩქის ძირას თავს იწონებს თეთრი ხამბახი.

იქ, მზის სხივებში გაბანდული ვარდთა გუნდი სურნელების ეშხსა აფრქვევს.

ჩიტუნების ყრიამული ატკბობს, ათრობს არემარეს.

სიყვარული, სიხარული, იმედი და მომავალი, გვეფიცება განთიადი.

26 მაისია, დღე ქართველი ერის გამარჯვების, აღდგომისა. თითქმის ბუნებაც თანაუგრძნობს მას, ეტრფის მის წარმატებას, მის ბედნიერ მომავალს.

## სამშობლო.

ვისაც სამშობლო არ დაუკარგავს, მან არ იცის რა არის უბედურება. სამშობლოს დაკარგვას ვერ შეედრება ვერავითარი დაკარგვა. ამიტომ მის დაბრუნებისთვის ბრძოლაზე ულამაზესი, უდიდესი, უსამართლიანესი არა არის რა ქვეყანაზე. შენც იცხოვრე, მეც ვიცხოვრებ, აი ერთა არსებობის საფუძველი. ვინც ამ საფუძველს არღვევს, ვინც სხვის ყოფნას წინ ეღობება, ჰკარგავს არსებობის უფლებას. ვისაც თავის თავი უყვარს, ის სხვასაც დააფასებს, ვინც სხვას არ აფასებს, ის თავის თავსაც აბუჩად იგდებს. ქართველი ერი მუდამ განთქმული იყო თავისი რაინდობით და სათნოებით. ის მუდამ დიდი პატივისმცემელი იყო მეზობლების და საერთოდ ყველა უცხოელის. ქართველ ერს უყვარს თავის თავი. ამიტომ უხვია მისი კეთილშობილი გრძნობები სხვისდამი. როგორც ქართველ ერს უყვარს თავისი თავი, ისე ყოველ ქართველს უყვარს თავისი სამშობლო. იშვიათია ქართველი, რომ სამშობლოს სტოვებდეს საბოლოოდ. იშვიათია ისეთი გადმოხვეწილი ქართველი, რომ დღე და ღამ არ ოცნებობდეს სამშობლოში დაბრუნებაზე. ქართველს უყვარს სამშობლო გატაცებით, თავდავიწყებით, უყვარს სამშობლოს სულის სიუხვე, სინაზე, სილამაზე, მისი იმედიანობა, სიმხნევე, გამჭრიახობა, მისი თავდაჭერა, თავაზიანობა, ჭირის ატანა, ლხინის ართვარვა. მისი წარსულით ამაყობს, მისი მომავალი იმედის ფრთებს ასხამს.

ქართველს უყვარს მუდამ ცოცხალი რიონი, მარდი ჭოროხი, დარბაისელი მტკვარი. უყვარს კეკლუცი ქუთაისი, ცხელი ტფილისი, წარმტაცი მწვანე ყვავილი, იდუმალებით აღსავსე მამადავითი; უყვარს ქართული ვარდი, ქართული ქვა, ქართული ქვიშა, ქართული ხე, ქართული მთა ბარი, ქართული ტყე-ღრენი. ქართული ლაპარაკი მას ათრობს, ქართული სიმღერები ნეტარების ცრემლებს ჰგვრის.

ქართველი არ გაცვლის სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხევზედა, არ გაცვლის თავის სამშობლოს სხვის ქვეყნის სამოთხეზედა.

ემიგრანტობამ გაამახვილა სამშობლოს სიყვარული. მწარედ გვაგრძნობია ბევრი ისეთი რამე, რასაც, ბუნებრივად, სამშობლოში ყოფნისას ვერ ვიგრძნობდით. ჩვენი უბედურება იმისთვის, ვინც ჩვენსავით უბედური არაა, ძნელი გასაგებია. ქართველის გრძნობებს სავსებით მხოლოდ ქართველი გაიგებს. ჩვენ ამ გრძნობებს შევაერთებთ და სამშობლოს სამშობლოს სამსხვერპლოზე მივიტანთ და მით ბედნიერი ვიქნებით.

## რწმენა.

რწმენა მთებსა ძრავს. ვისაც რწმენა არა აქვს, ის არსებობის ყოველ წამს დამარცხებულია. სცილდება ყოფნას და გადადის არ ყოფნაში. რწმენა ძალით არ შეიქმნების. ის პიროვნების ინტუიციური პროცესის ორგანიული ნაყოფია. რწმენის მიუცილებელი ელემენტი პერსპექტივია. უპერსპექტივო რწმენა შეუძლებელია. უპერსპექტივო კაცი, ურწმენო კაცია, ურწმენო კაცი უიმედოა. უიმედობა კი ყოველივე უბედურების ნაყოფია. უიმედობა წარმოშობს უმოქმედობას, უმოქმედობა ინერციას სიკვდილს. ყოველ დღიურ ცხოვრებას აიღებ, თუ დიდ საქმიანობას, ყველგან მოძრაობის, მოქმედების საფუძველი რწმენაა. ზოგ შემთხვევაში ეს რწმენა აშკარა და დასანახია, ზოგში კი ის (ყოველდღიურ საქმიანობაში) ჩვეულებად იქცევა და შეუმჩნეველია. კაცი, რომელსაც რწმენა არა აქვს და მის განსახორციელებლად ფანატიკურად არ იბრძვის, მას არსებობის და ცხოვრების აზრი დაკარგული აქვს. როგორც ყოველ მოვლენაში, ისე რწმენის სფეროში გრადაციებია, რწმენა არის მეტნაკლები ინტენსივობის. დიდი და საგანგებო საქმე დიდ და საგანგებო რწმენას ითხოვს, როგორც სიდიადე, ისე განსაკუთრებულობა რწმენას აცხოველებს, აინტენსივებს. მაქსიმალურად დიდი და განსაკუთრებული მოვლენა მოითხოვს რწმენის მაქსიმალურ ინტენსივობას და, წინააღმდეგ. პატარა, შაბლონური მოვლენა რწმენის ინტენსივობას ამინიმალებს. დიდი და პატარა საქმე ადვილი გასარჩევია.

დიდი საქმე ყოფნა-არყოფნის საკითხია. პატარა საქმე კი ყოფნის ზოგ მხარეს ეხება, ყოფნის ფენომენია. რადგანაც ყოფნის ფენომენები მეტ ნაკლები მნიშვნელობისაა საერთო ყოფნის თვალსაზრისით. ამიტომ მათ მიერ ამოქმედებული ენერგია რწმენა მეტ-ნაკლები ინტენსივობისაა.

ეს საერთო თეორიული დებულებები გადავიტანოთ პრაქტიკულ ნიადაგზე. როგორც ყოველ ცოცხალ ორგანიზმს, ერს ბევრი ტკივილი აქვს, მაგრამ ყველა ერთნაირ რეაქციას არ იწვევს. ყველაზე უმტკივნეულესია, როდესაც ერის არსებობის ფუძევარდება საფრთხეში. ამ შემთხვევაში ერი მთელ ძალას იკრებს თავის დასაცავად. ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელია. გმირთა რიცხვი უთვალავია. თავგანწირვა საზღაპროა. რსმენა, შეგნება საკუთარი უფლებისა, მისი უზენაესობისა სასწაულსა ჰქმნის. მტერი ითრგუნება, ერი იმარჯვებს და განაგრძობს საკუთარი გზით სიარულს, არსებობას, ცხოვრებას.

ყოფნა-არყოფნისთვის განუწყვეტელი ბრძოლა, ე. ი. ყოფნის ნუმენის ყოველდღიური ცხოვრების პროცესში სრესა მხოლოდ განაწამებ ერის ხვედრია. ქართველი ერის ისტორია მუდამ ამ მეტი დაბრკოლების გზით მიდიოდა. ამიტომ გმირობა, თავგანწირვა, მცირე რიცხოვანი ძალით რაოდენობით ათჯერ მეტი მტრის დამარცხება ქართულ სინამდვილეში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

რა ამოქმედებდა ქართველ ერს წარსულში და რა აამოქმედებს მას მომავალში?—პერსპექტივი.

მ ო მ ა ვ ა ლ ი.

ჩემო კარგო ქვეყანა რისთვის მოგიწყენია.
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია.

ამ სიტყვებში თითქოს გათვალისწინებულია ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა. ჩვენი ერის აწმყო მოსაწყენზე მეტია. ერი იტანჯვის უცხოუღელს ქვეშ. მისი სულიერი დოვლათი ნიავდება, მისი კარმიდამო პარტახდება. ერი ფიზიკურად ნადგურდება. მდგომარეობა ჭეშმარიტად ტრაგიკული. მაგრამ იმედის სხივი ამ წყვდიადში მაინც აშუქებს. ეს იმედი ჩვენ მომავალშია. კარგია აწმყოში ბედნიერი იყო და მომავლის კარები ფართოდ გეშლებოდეს, მაგრამ თუ ეს ასე არაა, უმჯობესია აწმყო მოსაწყენი იყოს და მომავალი გიღიმოდეს, ვიდრე აწმყოში ბედნიერი იყო (რაც ვერ იქნება, რასაკვირველია. ჭეშმარიტი ბედნიერება, არამედ მოჩვენებითი) და მომავლის კარები დახშული გქონდეს.

ჩვენ თუმცა აწმყო არ გვწყალობს, მაგრამ დიდი მომავალი გვაქვს. ამიტომ აწმყო, თუნდაც მეტად სასტიკი, ჩვენ არ გვაშინებს. ჩვენი იმედი ორ ულყუარ ფაქტს ემყარება. ერთია ჩვენი ერის სული, მეორე ჩვენი სიმდიდრე, ჩვენი მიწა წყალი და ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობა. ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, მისი მიწა, მისი ტყეები, სამკურნალო წყლები, სააგარაკო ადგილები, მადნეულობა დაუფასებელია. ჩვენ შავი ზღვის ნაპირების თვალსაჩინო ნაწილი გვიჭირავს და ვართ აღმოსავლეთ-დასავლეთის ბუნებრივ სატრანზიტო ხაზზე. მაგრამ მატერიალური პერსპექტივი რას გვიშველიდა, რომ ერის გულში არ იყოს ჩამარხული უშრეტი პოტენცია სულიერი შემოქმედებისა. ქართული სულიერი კულტურა წარმტაცია. ჩვენი ლიტერატურა, ქანდაკებები, ხუროთ მოძღვრება, ხალხური სიმღერები ხომ იშვიათი სიმშვენიერისაა. ქართული ცეკვა, ქართველი ქალ-ვაჟის მიხვრა-მოხვრა, ქართული ზნე ჩვეულებანი ხომ მომხიბლავია. ეს კულტურული საუნჯე იქმნებოდა არაჩვეულებრივად მძიმე პირობებში. და რომ ჩვენ არსებობის ხელსაყრელი პირობები შეგვექნეს (იმედი გვაქვს მალე შეგვექნება), ჩვენ ერის შემოქმედებითი ზღვა ენერგია საკაცობრიო კულტურის სალაროში, უეჭველია, თვალსაჩინო წვლილს შეიტანს და საერთაშორისო ოჯახში საპატიო ადგილს დაიკავებს.

ჩვენი სისუსტე იყო ყოველთვის ჩვენ მცირერიცხოვანობაში. ჩვენ გვიხდებოდა ჩვენი მიწა-წყლის დაცვა გაცილებით მეტრიცხოვან მტრისაგან. ეს გარემოება ხშირად საბედისწერო იყო ჩვენი ქვეყნისათვის. ბრძოლები (ამ სახით, თუ იმ სახით) მომავალშიაც მოსალოდნელია. სანამ დედა-მიწა იარსებებს და მაზე ადამიანები იცხოვრებენ, ბრძოლებიც იქნება. ამ ბრძოლებში ფიზიკური ძილა, რა მაღალ საფეხურზეც არ უნდა ავიდეს უფლების და მორალის განვითარება, უეჭველად, ყოველთვის ითამაშებს თვალსაჩინო როლს, რადგან ურთიერთობა როგორც ცალკე პირთა, ისე ერთა შორის მყარდება რეალურ ძალთა განწყობილების მიხედვით. ამ რეალურ ძალთა განწყობილების ჯამში კი შედის როგორც სულიერი, ისე ფიზიკური ელემენტი. ფიზიკა უსულოდ, ისე როგორც სული უფიზიკოდ არ არსებობს.

ფიზიკური ძალა მუდამ დიდ როლს თამაშობდა წარსულში, ითამაშებს მომავალში. ეს უდავო ჭეშმარიტებაა. ამიტომ თავისუფალ საქართველოში პირველ რიგში წამოყენებულ უნდა იქნეს დემოგრაფიის საკითხი. ყოველი ღონისძიება უნდა იქმნეს ნახმარი, რომ ქართველთა რაოდენობა გაიზარდოს. საღი დემოგრაფიული პოლიტიკით ოთხი ათეული წლის განმავლობაში ჩვენ შეგვიძლია შვიდ რვა მილიონამდე ავიყვანოთ ქართველთა რიცხვი. ადვილი წარმოსადგენია, რვა მილიონიანი საქართველო თუ რა ფიზიკურ და მორალურ პოტენტიას შეჰქმნის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ შემოქმედებისათვის.

ჩვენი ფიზიკური და მორალური პოტენციალი უშრეტია. ჩვენი პერსპექტივი გაშლილი. თუ აწმყო არ გვწყალობს, მომავალი, უეჭველად, ჩვენია.

ილია ნუცუბიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდთა ჭიდილი და პატარათა ბედი

ქვეყანა მიეჩვია «სანახაობებს»! ერთის მიმართულებით მინებებული გონება და მოქმედება შეუჩერებლად მიექანება უგზოუკვლო სავალით. ჯერხნობით ვერც კი გამოიცნობა, სად არის გამოსანახი ის დასაყრდნობი ძირი, რასაც უზურში უეჭველად დაეჯახება ასე უზომოდ აფორიაქებული, მეწყერივით ავარდნილი შემკრებილობითი ფსიქოზი...

წარმოიდგენდა ვინმე ოქტომბერში იმის მსგავს რამეს, რასაც აპრილში შევესწარით? და ან დღეს კი შეიძლება განა ითქვას, რა დატრიალდება დუნიად რამდენიმე დღის შემდგომ, როცა ეს წერილი სტამბიდან გამოვა?!

მაგრამ თუ მართლაც ძნელი ხდება მოვლენათა საბოლოო მიზნების აღნუსხვა და მიდევნა, თუ მთლად უჭვრეტი და გამოუცნობი არის მომავლის სახე, დავკმაყოფილდეთ იმითი მაინც, რომ მივხვდეთ და გავერკვიოთ მათ დედააზრში იმდენად, რამდენადაც ისინი ჩვენს თვალწინ იშლებიან და მიიმართებიან.

არის მთელი რიგი ნიშანი იმისა, რომ აწინდელ საერთაშორისო აღრევას დამთავრება მიეცემა უფრო ფართო მოცულობისა და თავის გადაწყვეტილებით უფრო რადიკალი ფორმისა, ვიდრე ეს ამხნობამდის ხდებოდა. ნებსით თუ უნებლიედ ამ კონფლიქტში მონაწილეთ უნდა გამოვიდნენ ისეთები, რომლებიც თავს გვიჩვენებდნენ, თითქოს ყველაფერი ის, რაც ცასა და დედამიწას აზანზარებდა, მათ ოდნავაც არ ეხებოდა.

პოლიტიკურადაცა და გეოგრაფიულადაც ევროპის აყალმაყალი თავის ორბიტში ითრევს უფრო ბევრ ერსა და სახელმწიფოს, ვიდრე ეს სასურველი და მოსალოდნელი იყო, მაგრამ რაკი დავის დენა გაფართოვდა და მასში რელიეფურად აღმოისახა თანამედროვე დიდ სახელმწიფოთა საარსებო ინტერესების ღრმა წინაამდეგობა, ეს დავა ულმობელად უნდა მივიდეს ლოღიკურ შედეგებამდის. მოწოლილი ამბები არ იძლევიან იმედს, რომ ან ერთმა, ან მეორე მხარემ მთავარ ხაზში მოინდომოს კომპრომისი და უკანდახევა. მაშასადამე არც ბრძოლა შესწყდება.

ამ ბრძოლას აწი უკვე თავისი ნომენკლატურაც შეეძინა: იგი იწოდება «იდეოლოგიურ ბრძოლად», რამდენადაც მასში დაპირისპირებული არის ორი გარკვეული მიმართულება—ავტორიტარულ და დემოკრატიულ სახელმწიფოთა სახით.

გარნა საკმარისია სულ მცირე და ზერელე დაკვირვება, რომ ადვილად ამოცნობილ იქმნას შფოთის ნამდვილი შინაარსი: «იდეოლოგია» და მსგავსი სხვა ტერმინები სიტყვის მასალად უნდა იქმნენ მიჩნეულნი იმდენად, რამდენადაც სახელმწიფოთა ასეთი იდეოლოგიური დაყოფა სრულებით შემთხვევითი მოვლენა არის ომის შემდგომ ევროპაში. «იდეოლოგია» ზედხაშენია იმისა, რაიცა რეალად იწვევს და ამოძრავებს დღეს ევროპაში და ბევრგან სხვაგანაც მოფენილ შემზარავ ფენომენს...

მოხდა ისე, რომ ვერსალის ზავით უკმაყოფილონი გერმანია და იტალია შინაგანად გადახალისდნენ და ნაციონალ-სახელმწიფოებრივი განდიდების პრინციპი, ანუ თუ შესაბამისი იქნება ითქვას, შეუზღუდველი ეტატიზმი სამოქმედო საგნად მიითვალეს და მასზე ააგეს საგარეო პოლიტიკაც. ამ ორ ქვეყანაში შემოღებული ავტორიტატული, ანუ თუ გნებავთ, დიქტატორული ხელისუფლება ღიდან არსებობისა ნერგავდა და ამკვიდრებდა მასებში უმეტესად ეროვნულ ღირსების გრძნობასა და შეგნებას იმ მიმატებით, რომ ამავე მცნების დაცვა და განმტკიცება შესატყვის დროზე ხელისშემწყობ ფაქტორად შექმნილიყო საირრედენტო, საექსპანსიო, საიმპერო თუ სახელმწიფურ ებრვე სხვა ზრახვათა განაარსებისათვის.

გამოდის ისე, რომ ზემოაღნიშნული სახელმწიფოები წინაამდეგობაში ჩაუდგნენ, ხოლო ბოლო ხანებში კიდევაც დაუფარავად დაეტაკნენ სხვა სახელმწიფოებს არა იმიტომ, თითქოს ერთთა რეჟიმი შეუწყნარებლად უარსაჰყოფდეს მეორეთა და ამისა გამო მათ შორის მიმართებანი და თანამშრომლობა გამორიცხულად ითვლებოდეს, სრულებითაც არა! იტალიის პრეტენზიები საფრანგეთისადმი დროთა დენაში ისევე ამოიყუდებოდნენ, როგორც ეხლა, თუნდაც უკანასკნელში არქიფაშისტური წინამძღოლები მოვლინებულიყვნენ სახელმწიფოს მართებლობისათვის. მე იმასაცა ვფიქრობ, რომ თუ მაგალითად ჩეხოსლოვაკიამ ოცი წელიწადი მაინც გაძლო, ეს მოხდა სწორედ იმიტომ, რომ მისი სახელმწიფური სისტემა ერთიანად სხვა ბუნებისა იყო, ვიდრე მესამე რაიხისა! იხსნა ალბანია, იტალიის კარნახითა და ნივთიერი ქომაგობით ასულდგმულებულმა სამეფო ტახტმა?!

ერთია ფრაზეოლოგია «სადეკორაციო», მეორეა შინაარსი და საფუძველი მოქმედებისა. ისინი ერთი მეორეს არ ეგუებიან და არც გულისხმობენ! მათ შორის არც თუ რამ კავშირი არის, თვინიერ სამიტინგო სიტყვათა ფრქვევისა. ისინი გადაბმულ არიან ერთი მეორესთან მხოლოდ შემთხვევით შესწორებულ გარემოებათა გამო.

თანამედროვე კრიზისი თავს დაატყდა კაცობრიობას უფრო სწრაფად, ვიდრე ეს ნავარაუდები უნდა ყოფილიყო. ამის ერთი მიზეზთაგანი არის ის, რომ დიდ ომში დამარცხებულნი ერთის მხრით და მისი შედეგებით უკმაყოფილო გამარჯვებულნი მეორის მხრით, ადრევე მოღონიერდნენ და მოითხოვეს სხვა და სხვა ჯურის რივენდიკაციები და საზოგადოდ «სამართლიანობა». და რაც უფრო ყურადსაღები და დამაფიქრებელია, ყველა ეს «სარევიზიო» მოქმედებანი შესრულებულ უნდა იქმნენ დიდთა მფლობელთა დასაკმაყოფილებლად! მცირეთა და სუსტთ მიეკერძებათ რაიმე, ისიც იმ პირობაში, უკეთუ «ცოლქმართა» მოლაპარაკებამ მათ არგუნა სამოწყალო და გასაკითხავი! ასე და ამგვარად მიეტმასნა მეხუთმეტე მუხლი ვილსონის მიერ ნაკურთხ და ნაანდერძევ ერთა თვითგამორკვევის «ქარტიას»...

თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველობა

ყოველ საერთაშორისო პოლიტიკურ მოვლენას უნდა იკვლევდეს და აფასებდეს პირველ ყოვლისა ტყვეთწატაცნილ სამშობლოის ინტერესების მიხედვით. ჩვენს მდგომარეობაში ისიც კმასაყოფელია, თუ მოვლენათა წყებას იმ თავითვე ვუშინჯავდით ავისა და კარგის «კბილის» და სხვათათვის მიცემულ მრავლისაგანმრავალ პოლიტიკურ გაკვეთილებს ისენაირად აუვლ ჩაუვლით, რომ ისინი ხელთშეგვრჩნენ სიავეაშორებულნი. ამისათვის ქართველ ხალხს ხანგრძლივი და უდიდესი განცდებით აღსავსე ისტორიული გამოცდილება აქვს მიღებული; შეუდარებლად უფრო მეტი და რთული თვისებისა, ვიდრე ეს განვლეს ეხლახან «გაკვეთილ მიღებულ. ევროპაში მობინადრე მცირერიცხოვანმა ერებმა.

ნურავინ გაოცდება, თუ გამოვედევნები შედარებითი მეთოდს და ამისდაგვარად იგივეობად დავსახავ ყველა იმას, რაც ამჟამად ხდება მცირე ერთა მიმართ და რაც ჩვენს ქვეყანას დაემართა ოცდაერთი წლის წინად!.. ეხლაცა და მაშინაც ისტორია მიემართება თავისი ჩვეული გზით, სენტიმენტებს ყოვლად აშორებული. ასეა დაწერილი კაცობრიობის ცხოვრება. უხსოვარ დროთაგან განმტკიცებული წესები და ზნენი დღესაც იმავე გზით მიიზიდებიან. მგელი და კრავი ერთად სათნო თანაცხოვრებას ჯერ კიდევ ვერ იქნა და ვერ მიეჩვივნეხ!.. როცა ზემოაწერ ამბების მაგვარი რამ ხდება, უსარგებლოა გრძნობათა აყოლა და მოთქმით ღაღადი დათრგუნულ უფლებათა შესახებ: is fecit cui prodest—იმანა ჰქმნა, ვისთვისაც ეს საჭირო არის! მორჩა და გათავდა! «არას გარგებს სიმძიმილი უსარგებლო ცრემლთა დენა», პირიქით «ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა!» სწორედ გამაგრება, ღონის მოკრეფა, ნამდვილი გაკაჟება და დაიმედებული ცდა უმჯობეს კომბინაციების შერჩევისა და გამოყენებისათვის! ეს იმიტომ, რომ დრონი არ მოწევნილან, «პირის პირ ომი არ ძალ გვაქვს, არ ჟამი საკვეხარია»...

ახლოვდება ვადა, როცა საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდება ჩაერიოს ამა თუ იმ სახით მასთან მიახლოებულ კონფლიქტში. ამას მოსკოვი ვერ ასცდება, ბევრიც რომ უკან იწიოს. ამ დროისთვის მთელი ქართველობა უნდა დარაზმული იდგეს. ეს იქნება დრო მძიმე გამოცდისა, დრო გადამჭრელი, დიდის ხნით სვე-ბედის ამომხაზველი! იმ ხანებში ეჭვი არ არის ისევ ამოიტუზება ის რეალი საშიშროება, რომელიც თავისი უკანასკნელი აქტით ჩვენი ხალხის მეხსიერებას, იმედია, ჯერ ისევ შერჩენილი აქვს. სალმრთო ვალდებულებად გვადევს, გვახსოვდეს, რომ არავინ შეგვიბრალებს, უკეთუ უილაჯო და შეუწევნელი გვიგულეს. აწი სხვა დროებაა: გსმენიათ როდისმე, რომ ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო მხურვალე მადლობას ოფიციალად სწირავდეს მეორეს იმისა გამო, რომ მას სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაზოგვა სიტყვიერად აღუთქვეს?!..

მაშ ვინ დაგვინდობს ჩვენ, თუ არა ჩვენივე სიბრძნე და ერთობლივი სიფხიზლე?!

ო. ინგილო.

## მესხეთი

(გეოგრაფიულ-ისტორიული მიმოხილვა)

(დასასრული)

ერეკლე მეფე რომ რუსეთს უკავშირდებოდა, მისი ერთ-ერთი მიზანი იყო მესხეთის შემოერთება. 1771 წელს იგი სწერდა ეკატერინე მეორეს: «კვალად ვედრებით მოვახსენებ თქვენს ყოვლად მოწყალებასა, თათა ამავე გაზაფხულს არა უტევონ დაუპყრობელად ქვეყანა ახალციხისა, და უკეთუ შერიგება მოხდეს სულთანისა, მაშინაც გარედ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა. ვინაიდგან საქართველოსა შინა არის და ქართული ენა აქვთ და მრავალნი ქრისტეანენი არიან მათში და ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ». 1773 წ. ერეკლეს ელჩები ასეთს მოხსენებას წარუდგენენ რუსის მთავრობას: «დიდის უქვემოესის ვედრებით ითხოვს (ერეკლე), რომ არ დაშთეს ამის უფრო გრძლად დაუპყრობელად ქვეყანა ახალციხისა, რომელიც ჩვენი ადგილი იყო. და თუ შერიგება იქნება (ომი იყო რუსეთ-ოსმალეთის), მაშინაც თურქის სახელმწიფოდ არ დაშთეს, არამედ გამოერთვას, რადგან საქართველოს მიწა არის და მრავალნი ქრისტიანენი არიან მას შინა და ყოველ წელიწადს მძლავრებით მაჰმადიანად მრავალს გადააქცევენ». 1796 წ. ერეკლეს ბრძანებით მოხდენილ მეზობელ ქვეყნების აღწერაში ვკითხულობთ: «ახალციხის ქვეყანა, რომელიც არის ქართლის ერთი ნაწილი, უჭირავს ახლა ხონთქარსა ძალითა და არიან გამაჰმადიანებულნი და ადგილ-ადგილ მცირედნი ქრისტეანენიც იპოვებიან».

როგორც ხედავთ, ქართული ენა ყოველთვის უფრო ინახავდა თავს. მიუხედავად მაჰმადიანობის გავრცელებისა და თურქულ ზნე ჩვეულებათა ფეხის მოკიდებისა მაღალ წრეებში, ქართული ენა ახალციხის საფაშოში რჩებოდა მტკიცედ. თვით ოფიციალური მიწერ-მოწერა ადგილობრივ მოხელეთა შორის უმეტესად ქართულად იყო და ახალციხის ფაშები მიწერ-მოწერას საქართველოს მეფეებსა და მთავრებთან მე-19 საუკ. დასაწყისამდე ქართულად აწარმოებდნენ.

ქართული ენის მდგომარეობა ძალიან გაუარესდა მესხეთის ქართველებში რუსების დროიდან. რუსეთმა რომ 1828 წ. ოსმალეთს სამცხე და ჯავახეთი ჩამოართვა, იქ კიდევ ქართული ენა საკმაოდ იყო შენახული. მაგრამ ჯერ ერთი რუსების უხეში პოლიტიკის შეშინებული დიდძალი მაჰმადიანი ქართველი, განსაკუთრებით ჯავახელი, აიყარა და ოსმალეთში გადასახლდა. ისე როგორც შემდეგ 1876 წ. მერე, ვინც დარჩა, რუსის მთავრობამ თურქად გამოაცხადა და ყოველნაირად ცდილობდა ქრისტიანი ქართველობა არ დაახლოვებოდა თავის მაჰმადიან ძმებს და არ გაეღვიძებია მათში მიძინებული ეროვნული შეგნება. ქართველი ერი და ყოველი ქართული უფრო უფლება აყრილი შეიქმნა, ვიდრე იყო ოსმალოების ბატონობის დროს. ქრისტიან ქართველებს ქართული სკოლის გახსნაც არ შეეძლოთ მაჰმადიან ქართველებისთვის. ესევე ამბავი განმეორდა ყოფ. ბათომის და ყარსის ოლქების შემოერთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შემდეგაც 1878 წ. ყარსის ოლქის ორი მაზრა არტაანისა და ოლთისისა და მთელი ბათომის ოლქი დასახლებული იყო გამაჰმადიანებული ქართველებით, მესხებით, რომელთაგან ქართული ბევრმა იცოდა; განსაკუთრებით ბათომის ოლქში, სადაც მაგალ. აჭარაში წმინდა ქართულს ლაპარაკობდენ. გ. ყაზბეგი, რომელმაც 1874 წ. დაათვალიერა სამუსულმანო საქართველო, ამბობს: აჭარაში სულ ქართული გაისმის. ბავშვებმა თურქული სრულებით არ იციან; შავშეთში შინაური ენა ქართულია, ხოლო არტანუჯს რომ უახლოვდებით, ქართული სუსტდება; ქ.ართვინში ქართულს იშვიათად გაიგონებთ, მაგრამ ირგვლივ სოფლებში სულ ქართულია; ბარხალში (ტაოს მთის კალთები) ქართული ყველამ არ იცის.

ყარსის და ბათომის ყველა მკვიდრი ქართველი რუსეთის მთავრობამ ოსმალოდ აღიარა, მათ დედაენად—თურქული და აღუკრძალა ქართული ენის ხმარება ადგილობრივ სასოფლო მართველობაში. რასაკვირველია, ასეთ პირობებში ქართული ენის სარბიელი საგრძნობლად შესუსტდა.

როგორი იყო ქართული ენის მდგომარეობა ბოლო დროს? ჩვენი მოგზაურები და მკვლევარები დ. ბაქრაძე, ექ. თაყაიშვილი, ნ. მარი, ალ. ყიფშიძე და სხ. ყველგან ხვდებოდენ მესხეთში ქართულ ლაპარაკს, ზოგან მეტად, ზოგან ნაკლებად. ნ. მარმა თავის მოგზაურობის დროს (1910 წელს) შავშეთ-კლარჯეთში თურქულ ლექსებთან ერთად ქართული ლექსებიც და ზღაპრებიც კი ჩაიწერა, მაჰმადიან ქართველების ნათქვამი. აი ორიოდე ნიმუში იქაური ქართულის:

დავჯექი და დევიფიქრე
ბირალების ამბავები.
მე საწყალმა ვისა უთხრა
ჩემი გულისა დერდები. და სხ.

გოგო ჩივის ვერ წავყვები,
სარდალაია ჩემი ქმარი,
სადაც წევა, იქ მივაგნებ,
თუ გინდა თავი მომჭარი... და სხ.

ღამით გზაზე სიარულში
ბევრჯელაც და გავგორდები.
ღალატობა რომ შამოვდა,
ვეღარ კაცს ვეღარ ვენდობი... და სხ.

ნ. მარი აღნიშნავს, რომ სახლკარის მოწყობილობა, სამეურნეო იარაღი და მუშაობის წესი ბევრი ისევ ქართულია. ქართულია სხვა ზნეჩვეულებ-ცეკვა, მაყრობა. სოფლების და მდინარეების სახელები დარჩენილია ქართული, ზოგან გადათარგმნილია თურქულად. ყურძნის 18 ჯიშის სახელი მეტწილად ქართულია შენახული. ერთი მოვლენაა ფრიად საყურადღებო და სამწუხარო: ოსმალთა ბატონობამ მეტად დააბეჩავა და სულიერად დასცა საზოგადოდ მესხი და განსაკუთრებით ჩაკლა მასში სიმღერა, რომელიც ქართველი კაცის დამამშვენებელია დაბადებიდან სიკვდილამდის.

მოკლედ: აწინდელ საქართველოს საზღვრებში დარჩენილ მესხეთის ტერიტორიაზე ქართულს ზოგან აქა იქ ლაპარაკობენ, ზოგან კი მთლიანად, მასიურად, როგორც აჭარაში. შენახულია ქართული თურქეთზე გადასულ ზოგიერთ ადგილებში. მაჰმადიანი ქართველები იცავენ დედაენას შიდა თურქეთშიაც, სადაც ისინი გადასახლდენ 1878 წ. შემდეგ და სადაც მთელი სოფლებია წმინდა ქართულის მოლაპარაკე. ქართულის შემნახველნი და დამცველნი არიან განსაკუთრებით ქალები.

ვ. დოლიძით დ. ალესით თავის 1921 წ. გამოცემულ წიგნაკში (ქართველები კონსტანტინეპოლში) შემდეგს ცნობებს იძლევა: ოსმალეთის მუსულმან ქართველების უმრავლესობა 1876 წ. ომის დროს და შემდეგ გადმოსახლდა ოსმალეთში, დაბინავდა შავი ზღვის ნაპირებზე, შიგნით ანატოლიაში და სხვა კუთხეებში—იზმითის, ადაბაზარის და ბრუსის მიდამოებში; ქართველებს კილიკიაში ბაღდადის გზაზედაც შეხვდებით. ასე გაფანტულ ქართველების რიცხვი უნდა იყოს ასე 400 ათასამდე. ქართული ენა დღემდის შენახული აქვთ, თუმცა ოსმალეთის მთავრობა მათ გათურქებას ძალიან ცდილობს. ქართულს დიდი განსაცდელი მიელის თურქული სკოლების საშუალებით. მაჰმადიან ქართველებში საკმარისად ხშირად შეხვდებით ქართული წერა-კითხვის მცოდნესაც, ეტანებიან ქართულ წიგნებსაც.

ის პირები, რომელთაც სულ ბოლო დროს იმოგზაურეს დასახელებულ ადგილებში, გვარწმუნებენ, რომ კვლავ არის იქ წმინდა ქართველი მოსახლეობის სოფლები და მკვიდრთა დიდი უმრავლესობა ქართულს ლაპარაკობს. ხოლო უდავოა, რომ ახლანდელი თურქეთის რეჟიმი ძალიან ცუდს პირობებს ჰქმნის არა-თურქებისთვის ეროვნულ საზოგადოების შესანარჩუნებლად.

*

ჩვენ ნაწილობრივად უკვე ვილაპარაკეთ მესხეთის მნიშვნელობასა და როლზე საქართველოს ისტორიაში, როდესაც მოგითხრობდით მესხეთის თავგადასავალის პირველ პერიოდს, მის მოღვაწეობას საქართველოს გაერთიანებისათვის. როგორც დავინახეთ, გაერთიანება ორის მხრით მომდინარეობდა—აფხაზეთიდან და მესხეთიდან და მისი დაგვირგვინება წილად ხვდა უკანასკნელს. მესხეთის ერთი უდიდეს დამსახურებათაგანი ისაა, რომ მოგვცა გამოჩენილი დინასტია, ბაგრატოვანთა დინასტია, რომელიც 12 საუკუნის მეტს მართავდა ჩვენს სამშობლოს და იყო ერთი უშესანიშნავესთაგანი ყველა დინასტიაში, რომლებიც კი ოდესმე არსებობდენ დედამიწის ზურგზე. ზღაპარია, ცხადია, გადმოცემა თითქოს ბაგრატიანები დავით წინასწარმეტყველის ჩამომავალნი იყვენ. მსგავსი ჩამომავლობის ლეგენდა სხვა დინასტიებსაც ჰქონდათ. ბაგრატიანები ნამდვილად მესხეთის ღვიძლი შვილები არიან, შეიძლება ლაზ-მეგრული მტომის, როგორც ბ. ე. თაყაიშვილი ჰფიქრობს.

თვალი გადაავლეთ ჩვენს ისტორიას: რამდენი ბრწყინვალე მამულიშვილი, სახელმწიფო ადამიანი, ღრმა პოლიტიკოსი, დიდი სარდალი მოგვცა აშოტ კურაპალატის ჩამომავლობამ! მაგრამ ყველას უფრო ძვირფასია ბაგრატოვანებში მათი კულტურუ-

ლი ტრადიციები, მხურვალე სიყვარული მწერლობის და ხელოვნების. შეიძლება მთელ მსოფლიოში უნიკუმებია მეფეები თეიმურაზ I და II, არჩილ და ვახტანგი და ბატონიშვილი ვახუშტი— ადამიანები უკიდურეს გასაჭირში მყოფნი, ხშირად დევნილნი უკუღმართი ბედის გამო, უცხოეთშიაც გადმოხვეწილნი, რომელნიც იშვიათ რწმენას და ენერგიას ჰპოვებდენ და როცა პოლიტიკურად არა შეეძლოთ რა ერისთვის, დაუღალავად მუშაობდენ მისი კულტურის გასამაგრებლად, მისი მწერლობის გასამდიდრებლად.

ეს კულტურული ტრადიციები ბაგრატოვანებმა მესხეთიდან მოიტანეს საქართველოს ტახტზე. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ისინი ტაო-კლარჯეთის ერისთავები იყვენ, დიდად უწყობდენ ხელს თავიანთ სამფლობელოების კულტურულ დაწინაურებას, საეკლესიო-სამონასტრო აღმშენებლობას, განათლების გავრცელებას.

უკვე ვილაპარაკეთ, თუ როგორი გატიალებული იყო ეს მხარე მერვე საუკუნეში, პირდაპირ უდაბურს წარმოადგენდა და მოსახლეობა აქა-იქ თუ მოიპოვებოდა. მეცხრე საუკუნიდან მოაწყდა ქართლიდან გადმოსული მოსახლეობა, გაჩაღდა დიდი მუშაობა და მესხეთმა იწყო აღორძინება. ამ აღმშენებლობის პიონერები იყვენ დიდებული მონასტრები, რომლებიც სრულიად ახლად აშენდა ან დაემკვიდრა წინად სომეხ ქალქედონიტების ანაგებზე, აღიმართა ტაძრები ხანძთას, შატბერდის, ოპიზას, ტბეთის, ოშკის, ხახულის, ბანას, მიძანძორის, ვაჩეძორის, პარხალის, ანჩის, რომელთა სახელები მარად პატივით სახსენებელნი გახდენ ქართველი ერისთვის. ეკლესიებსა და მონასტრებთან გაიმართა სასწავლებლები, სადაც იხრდებოდენ საეკლესიო მოღვაწეები, მწიგნობარნი, მთარგმნელები, გადამწერები, მუსიკოს-მგალობლები, მხატვრები, სახელმწიფო ადამიანები, და საიდანაც ორ საუკუნეზე მეტს განათლება ეფინებოდა მთელს საქართველოს. ბევრი წიგნი დაიწერა აქ ან გადმოითარგმნა, აქაა გადაწერილი თუ დაწერილი ბევრი ძვირფასი ძეგლი ჩვენი მწერლობისა, რომლებიც ჩვენამდის შენახულა (მიქელ მოდრეკილის საგალობელნი, შატბერდის კრებული, ათონის მე X ს. ბიბლია და სხ.), აქ გამოჭედილი და გამოქანდაკებული იყო ბევრი ხატი და მოკაზმული წმ. წიგნები, რომლებიც დღეს ქართული ნიჭის საგანძურებს ამშვენებენ (ხახულის ხატი, ანჩის ხატი და სხ.). აქაური სულის აღზრდილნი იყვენ მთაწმინდელები იოანე ექვთიმე და გიორგი, რომელთაც ათონზე ქართული კულტურის ახალი კერა გამართეს.

ხოლო მარტო საკულტურო-საგანათლებო მუშაობით არ ამოიწურებოდა მესხეთის ეკლესია მონასტრების მოღვაწეობა. ისინი ხელმძღვანელობდენ —განსაკუთრებით ტაოკლარჯეთისა—მთელი საქართველოს საეკლესიო სასულიერო საქმეებს და მათ სიტყვას გადამჭრელი მნიშვნელობა ჰქონდა. მათი მეოხებით მოხდა ქართული ეკლესიის სრული გაეროვნება. ისინი დიდს გავლენას ახდენდენ თვით სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზედაც და ეტყოდენ საერო მთავრებს, როგორც უთხრა ბაგრატ კურაპალატს იშხნელმა ეპისკოპოზმა საბამ, როცა ბაგრატის მოწვევით არ გამოცხადდა მის წინაშე, ხოლო მივიდა, როცა მიმართა გრ. ხანძთელმა: თქვენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფე ხართ, ხოლო ქრისტე საუკუნო მეუფეა. და ამათდ არ ეტყოდნენ ხელმწიფეთ კლარჯეთის მიმანი, როცა ასე შეაფასებდენ მონასტრების მოღვაწეობას: «სულიერად განწყობილნი ლაშქარნი თქვენნი ესე წმიდანი უდაბნოთა მამანი არიან ხორციელად განწესებულთა ლაშქართა თქვენთა სიმტკიცენი და საჭურველნი».

მესხეთის კულტურულ აღმშენებლობის ხელმძღვანელი და დამწყები იყო, ქრისტიანობის ერთერთი დამამშვენებელთაგანი გრიგოლ ხანძთელი, რომელიც მოღვაწეობდა მერვე ს. ბოლოდან და გარდაიცვალა ას ორი წლის 861 წელს. მისი ცხოვრება აღწერა 90 წ. შემდეგ გრიგოლ მერჩულმა, რომლის მე-12 საუკ. გადაწერილი პირი აღმოაჩინა 1902 წ. იერუსალემში ნ. მარმა და გამოსცა შავშეთ-კლარჯეთის ნაშთების აღწერის დართვით 1911 წ. ეს წიგნი უძვირფასესი დოკუმენტია ჩვენი წარსულის: გვაძლევს საუცხოვო სურათს, თუ როგორი იყო იმ დროს საქართველოში სარწმუნოებრივი შეგნება, ეკლესია სახელმწიფოს ურთიერთობა, სამონასტრო ცხოვრება, სოციალურ-ეკონომიური ყოფა და სხ.

როგორც მისი ბიოგრაფი მოგვითხრობს, გრიგოლ ხანძთელი ქართლის მკვიდრი იყო, წარჩინებულ გვარიდან. პირველად მღვდლად ეკურთხა, მაგრამ ფართო მოქმედების წყურვილმა გაიტაცა უდაბნოთა ადგილებისაკენ. აირჩია სამი თანამშრომელი ძმა—საბა (საბან), რომელიც მერე იშხნის მეორედ აღმშენებელი და ეპისკოპოზი გახდა, თეოდორე— შემდეგში ნეძვისა მაშენებელი და მამა, და ქრისტეფორე—შემდეგში კვირიკეს მაშენებელი და მამა წინამძღოლი, და მოვიდა კლარჯეთში. პირველად მივიდენ ოპიზაში, სადაც იმ დროს ახლად აშენებული მცირე მონასტერი იყო. აქედან დაიწყეს სამონასტრო ადგილის ძებნა და გრიგოლი შეჩერდა იქ, სადაც აღიმართა ხანძთა კლარჯეთის ამ ნაწილს, რომელსაც ქართველთა სინას უწოდებენ. სადაც აშენდა ხანძთა, შატბერდი და სხვა განთქმული მონასტრები,— სივრცე ჩრდილოეთ სამხრეთით აქვს 15 ვერსი და აღმოსავლეთით დასავლეთისკენ 10; სამხრეთით ჩამოუდის იმერხევის წყალი, აღმოსავლეთით იმერხევის შემდინარე კარჩხალის წყალი და ჩრდილოეთით იცავს კარჩხალის მაღალი მთა.

გრიგოლმა და მისმა სულიერმა ძმებმა ჯვარი გადასახეს არჩეულს ადგილს და იწყეს საქმედ სენაკებისათვის ქვეყანისა (მიწის) დავაკებად. რამეთუ კლდე იგი ხანძთისა უფიცხლეს არს უფროის ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა. და შრომითა დიდითა ქმნეს ადგილი იგი, რამეთუ არა აქვნდა მათ ცული და წერაქვი, არცა სხვა ეგევითარი სახმარი. არამედ ოპიზელთა მამათა მოსცეს ყოველი, რომელი იპოვა ხელთა მათთა, და თანაშემწე ექმნეს ყოვლითა სახმრითა და ხორცთა სიღვაწითა. რამეთუ მას ჟამსა სხვაი მონასტერი არა შენ იყო მათ ქვეყანათა თვინიერ ოპიზისა, და არცა მსოფლიონი ერის კაცნი ახვლიდეს ახლად შენებისათვის მათ ქვეყანა

თაცსა. რამეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქვეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ».

ასე დაიწყეს მუშაობა გრიგოლმა და მისმა სამმა თანამშრომელმა მე-8 ს. ბოლოს, რამაც მალე გრანდიოზული აღმშენებლობის სახე მიიღო. თვითონ გრიგოლის ხელმძღვანელობით დაარსდა ხანძთის მერე შატბერდი და სამი სხვა მონასტერი, ხოლო მისმა მოწაფეებმა ააგეს ბევრი სხვა არა მარტო ტაო-კლარჯეთ შავშეთში, არამედ მესხეთის სხვა კუთხეებში, მესხეთის გარედაც—ქართლსა და აფხაზეთში. გრიგოლი სიკვდილამდის 12 მონასტრების წინამძღოლი იყო, იმდენად დიდი პატივი და ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული. მისი მოწაფეები დაჟინებით თხოვდენ, რათა ეპისკოპოზად კურთხეულიყო და მის წინ გაშლილი იყო უფრო მაღალი დაწინაურება, მაგრამ იგი დარჩა მხოლოდ არქიმანდრიტის ხარისხით.

როდესაც მაშინდელ მონასტერზე ვლაპარაკობთ, კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ იმ დროს მონასტერი შესდგებოდა რამდენიმე ეკლესიისა და მრავალ სხვა საკულტურო და სამეურნეო ანაგებებიდან. ეს იყო პატარა ქალაქი თავის საწარმოვო-სახელოსნო და სამეურნეო მოწყობილობით, ბაღებით, ვენახებით, წისქვილებით, საწყობებით, სარდაფებით, თავშესაფარებით. ხანძთელზე პირდაპირ ნათქვამია, რომ ის იყო «უდაბნოთა ქალაქმყოფელი».

ამ დიდებულ აღნაგებთა დამსხვრეული ნაშთები დღესაც აკვირვებენ მნახველს და ცხად ყოფენ, თუ რა შემოქმედების ნიჭის გამოჩენა შეეძლო ქართველ ერს, როცა მას თავისუფალი ცხოვრების შესაძლებლობა ჰქონდა. მათი ხილვა და მათი ნანგრევების გამოწვეული მოგონებანი დღესაც აღელვებენ ადამიანის გულს. ნ. მარი ასე გადმოგვცემს თავის განცდებს, როცა შატბერდის ნანგრევებს წინ იდგა: «სტუმრად ვარ ხანძთელთან, გამიელვა თავში: სტუმრად მე-10 საუკ. კრებულის შემადგენელთა და გადამწერებთან და ისე მეჩვენა, რომ ჩემი ფიზიკური დაღლილობა გაჰქრა, როცა ვიგრძენი, რომ დავუკავშირდი ოდესღაც აყვავებულ ქართულ კულტურის დავიწყებულ მუშაკებს. ჯერ კიდევ მაშინ, როგორც კი დავინახე მონასტერი, ისე მოვწყდი აწინდელ ქვეყნიერებას, ისე შევიცან სიახლოვე ამ უდაბნოს სინამდვილის, რომ არ გამიკვირდებოდა თვით გრიგოლ ხანძთელის გამოცხადება და მისი პასუხი იმ კითხვაზე, რომელმაც აქ მომიყვანა: სადაა შატბერდი? თუმცა გრიგოლს ხანძთელს უწოდებენ და ხანძთა მისი პირმშოა, მაინც ჩემს წარმოდგენაში შატბერდი როგორღაც უფრო დაკავშირებულია გრიგოლთან და ვფიქრობ, რომ იგი უფრო ეფერებოდა შატბერდს ვიდრე ხანძთას. და მიუხედავად გრიგოლისა, შატბერდი იპყრობდა ჩემს ყურადღებას როგორც ცენტრი იმ ლიტერატურული მოღვაწეობისა, რომელმაც განამტკიცა ნიადაგი ქართველთა უშუალო ურთიერთობისა დასავლეთის, ბიზანტიის კულტურასთან და იმავე დროს განაგრძობდა თუ განაახლებდა ქართული აზრის ძველს ურთიერთობას სომხურთან, საზოგადოდ აღმოსავლეთთან. საერთოდ როგორც ცენტრი ლიტერატურული მუშაობისა, რომელმაც ნაყოფიერად იმოქმედა საქართველოს შემდეგს კულტურულ ზრდაზე. მე სიხარულით შევედი კარებში. სული იშვებდა და თვალზე თითქმის ცრემლი მომადგა, რომ განათლების ძველ მოღვაწეთა წიაღს ასე ინტიმურად მივუახლოვდი».

ეს სულიერი ამაღლება და სიხარულის გრძნობები მალე მოეშხამა პატივცემულს მეცნიერს. როცა მიმოიხედა გარშემო და ნახა: შატბერდის ეზო თავლად გაეხადათ და იქ ყოველი სიბინძურე ეყარა. სამრეკლო საბზლად გადაექციათ და საკურთხევლის ადგილზე მკვდარი თხა ეგდო და ირგვლივ საქონლის განავალი ეფინა...

ასეთია დღეს, სამწუხაროდ, შესანიშნავ ტაძრების უმეტესობა. ზოგი მთლად მიწაზეა დანარცხებული. ზოგის კედლები ღა დგანან სახსოვრის ნიშნად, ზოგს გუმბათი შერჩენია კიდევ, მაგრამ გაფრცქვნილს ქათამს ჰგავს, ზოგი ჯამედაა გადაკეთებული. შედარებით კარგადაა შენახული ხახული, რომლის შესახებ ე. თაყაიშვილი (ინახულა 1917 წ.) ამბობს: ისე კარგადაა, რომ პირდაპირ წირვა შეიძლება შიდო: საკმაოდაა დაცული ოშკი (თორთომის ხეობა) და იშხანი (ოლთისის წყალზე). ვახუშტი ბატონიშვილის დროს ეს ეკლესიები და მონასტრები ჯერ კიდევ დაუზიანებელი იყო, იგი ამბობს მხოლოდ: ცალიერია, შიგ არავინ არისო. საუკეთესო ძეგლები ქართული ხელოვნებისა საბოლოოდ შეიმუსრა მე 19 საუკუნეში, საუკუნის მეორე ნახევარში და დამთავრდა ჩვენს თვალს წინ. რაც გასული საუკუნის მესამოცე წლების მოგზაურებმა ნახეს მთელად, ის უკვე დანგრეული იპოვნეს 20-30 წლის შემდეგ. ექ. თაყაიშვილი იმასაც კი გვიამბობს: ესა და ეს ეკლესია მეორედ რომ ვნახე რამდენიმე წელს მერე, ნამეტნავად დაზიანებული და გაოხრებული დამხვდაო.

განვიმეოროთ ერთხელ კიდევ მესხეთის განთქმული ეკლესიების და მონასტრების სახელები: ხანძთა, შატბერდი, ოპიზა, მიძანძორი, ტბეთი, წყაროსთავი, ბანა, ოშკი, იშხანი, ხახული, ვაჩეძორი, ანჩა, პარხალი, ზარზმა. ამ სახელებით არ ამოიწურება მესხეთის საეკლესიო ნაგებობა. როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა თავში, ყოველს სოფელს ამშვენებდა ერთი-ორი ეკლესია, ქალაქს კიდევ მეტი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მხარე მჭიდროდ დასახლებული იყო, ადვილად წარმოვიდგენთ იქაურ საეკლესიო შენობების სიმრავლეს. მარტო ეკლესიებით არ იყო შემკული ქვეყანა, ბევრი იყო მტკიცედ და ამაყად აღმართული ციხეები, სასახლეები, საზოგადოებრივ დანიშნულების სახლები და სხვა ნაგებობა სახუროთმოძღვრო ხელოვნებისა და ვემოვნების. ნუ გაგიკვირდებათ, რომ წისქვილებიც ლამაზად მოკაზმულ შენობებს წარმოადგენდა.

როგორია მესხეთის მონუმენტების მხატვრული ღირებულება? ჩვენ არ ვკისრულობთ დღეს აქ ამის გარკვევას—არა ვსთვლით ჩვენს თავს საამისოდ მომზადებულად, არც საჭირო მასალები მოგვეპოვება. ვიტყვით მხოლოდ, რომ მცოდნე პირები ამ ძეგლებს ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებად სთვლიან. ე. თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაიშვილის სიტყვით, ასეთ მრავალფეროვან ნაშენებს ვერც ერთს სხვა კუთხეში ვერ შეხვდებითო; გ. ჩუბინაშვილი მესხეთის ეკლესიებს ახასიათებს ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ცალკე, განსხვავებული პერიოდის სახელით; გ. ყაზბეგი ტბეთის შესახებ ამბობს, რომ მას შეუძლია, რომიც კი დაამშვენოსო. მე-17 საუკ. ერთი სომხის მოგზაური სწერს, რომ იშხანს კონსტანტინეპოლის აიასოფია თუ გაეჯიბრებაო. გერმანელი კოხი, რომელმაც 1843 წელს ინახულა ბანა (მაშინ ის უფრო შენახული იყო), იტყვის: ეს, ეჭვს გარეშეა, ყველას უფრო ლამაზი და მშვენიერია, რაც კი რამ მინახავს ამგვარი მთელს აღმოსავლეთში. თვით უკულტურო თურქებზედაც განსაცვიფრებელს შთაბეჭდილებას ახდენდა ქართული ნიჭის აგებული და შემკული ტაძრები: ოსმალოს მოსახლეობაში გავრცელებული იყო ასეთი თქმა: განთქმულია სიმშვენიერე ოშკის ტაძრისა, ადგილმდებარეობა ხახულის და მხატვრობა იშხანისა.

სიმშვენიერის მომხიბვლელობა ნანგრევებს აქამდის არ დაუკარგავთ. ნ. მარს მოგზაურობის დროს თან ახლდა მცველად გასომხებული ქართველი კათოლიკე, რომლის პაპამ სომხური ერთი სიტყვაც არ იცოდა. 50 წლის კაცი იყო, სახელად ამბარცუმი. ოპიზას რომ ათვალიერებდა ნ. მარი, ეს ამბარცუმიც მის გვერდით იყო და ფხიზლად აკვირდებოდა ყველაფერს, და დათვალიერება რომ გაათავეს, ნ. მარს ჰკითხა: «ძველად უფრო ჰკვიანები იყვენ ადამიანები, თუ ახლაო?» მას განსაკუთრებით ის აოცებდა, რომ ძველებმა იცოდენ ადგილის არჩევაც, არა მარტო შენობისათვის მოხერხებულის, არამედ ლამაზისაც. «რა კარგია აქ! წამოიძახა ამბარცუმმა, როცა ადგილმდებარეობას ეცნობოდენ. მას აკვირვებ და სიმტკიცე სასარგებლო ნაშენების—საწნახელების, სარდაფების, ხიდების, სიდიდე შენობათა, სამონასტრო ბინების და დარბაზების. «ნუ თუ ყველაფერი ეს ქართველების ნაკეთებია?» ჰკითხა მარს, არა პირველად.—«ჰო, უპასუხა მარმა: ქართველების».—«შეიძლება, ისინი კათოლიკე ქართველები იყვენ?» თქვა ამბარცუმმა, რომელსაც სარწმუნოება და ეროვნება ვერ გაერჩია. «არა, უპასუხა მეცნიერმა: ისინი იყვენ მართლმადიდებელი ქართველები, ქალკედონიტები».

ვინ იცის, ეგებ ზოგმა დღევანდელმა არა გასომხებულმა, არამედ მართლმადიდებელმა ქართველმა, ქართული გვარის და სახელის პატრონმაც ამბარცუმსავით ეჭვით შეხედოს სამშობლოს წარსულს და აღარ იწამოს მესხეთის ქართველების დიადი მოღვაწეობა!..

მესხეთი დღეს ხომ მიწაზე დანარცხებულია, აოხრებული, განადგურებული, დანგრეული, დაბეჩავებული, შერყვნილი, მეტწილად დანარჩენ საქართველოს მოგლეჯილი, უპატრონო და უმზრუნველო, —და რასაკვირველია, პატივაყრილია, არავის ყურადღებას იპყრობს.

მაგრამ სასწაული რომ მოხდეს—ციდან გადმოეშვებოდეს ტაო-კლარჯეთს-შავშეთს ღვთაებრივი ნათელი, ვით ეს მოეჩვენებოდათ ხანდახან ხანძთაშატბერდის წმინდა მამებს, და კვლავ აღსდგებოდეს ეს დღეს დაქცეული მხარე: აღიმართებოდეს მთელი თავის სიმშვენიერით ოპიზა, ხანძთა, შატბერდი, ბანა, იშხანი, ოშკი და სხვა მრავალი, რომ ამუშავდებოდენ სასწავლო სემინარიები, ამოქმედდებოდენ მწიგნობარნი, გადამწერნი, მხატვარნი, გაიმართებოდეს კვლავ ცხოველი დისპუტები საეკლესიო და საერო აზროვნების, რომ კვლავ გაჩაღდებოდეს პალატები, ამოძრავდებოდეს სავაჭრო, სასტუმრო სახლები, თავშესაფარები, საავადმყოფოები, რომ ჩვენს წინ გაივლიდენ მესხთა ამაყი წინამძღოლები და ბუკს დააყვირებდენ მიუვალ ციხეებიდან გზების ფხიზელი მცველი გუშაგები, რომ მესხეთი კვლავ დაიფარებოდეს უცხოდ გაყვანილ არხების მორწყულ ყანებით, ბაღ-ვენახებით, მტილებით, რომ კვლავ ვიხილავდეთ ტანადს მესხებს სწორი ნაკვთებით, არწივის თვალებით, ხშირი თმით—ქართული მოდგმის ულამაზეს ტიპებს—კაცებს და ქალებს, მოხუცებს და ბავშვებს და გაგვეგონოთ გულის სიღრმიდის ჩამწოდი სიმღერა, რომ მოგვესმას მიქელ მოდრეკილის ციური საგალობელნი და ხანძთის ტაძრის კარებში მოგვევლინოს ზეცისა კაცი და ქვეყნისა ანგელოზი, თავის ჰკვიანი სახით, გამჭვრეტი თვალებით, თავის სიმკაცრით და თან სიმართლით,—მოგვევლინოს გრიგოლ ხანძთელი მაკურთხეველი ერის და მის გვერდით საბა იშხნელი, ზაქარია ახჩელი, დავით მიძანძორელი, ილარიონ წყაროსთაველი,—ეს იქნებოდა უმშვენიერესი სანახაობა, როგორიც კი ადამის ჩამომავლობას უნახავს, სანახაობა ნიჭის, ენერგიის, შემოქმედების, კულტურის, ცხოვრების მოწყობის...

მაგრამ ვაჰ, სასწაული არ ხდება. ეს იყო; აღარაა. ჩვენ ვერ ვიხილავთ ამ მესხეთს—იგი დამსხვრეულია!

ხოლო მთელი თავის დიდებით და შარავანდედობით, თავის სიავით და დაცემითაც მესხეთი სამარადისოდ შეუხებელი დამკვიდრებულია ქართველი ერის სულში. რა არის ქართველი ერი? ეს ხომ გეოგრაფიული მოხაზულობა არაა მტკვრის, რიონის და ჭოროხის ნაპირებზე? ეს ხომ ერთეულების—სესიას, ლომიას, სეხნიას, გოგიას, დავითის, მზეჭაბუკის და სხვა მსგავსთა გროვა არაა? ქართველი ერი ქართული სულია, ამოსუნთქმული, მისი ცეცხლის და ჯოჯოხეთის, მისი ყვავილნარის და სამოთხის, მისი ლხინის და ვაების, მისი ცრემლის და ღიმილის. სული წარმოშობილი მისი ისტორიის, მისი ბრძოლების, აღმშენებლობის, ყოველი მისი მკლავის მოქნევის, გულის ამოძრავების, ძარღვების დაჭიმვის, ტვინის შერხევის. ქართველის სული—ეს მთელი ჩვენის წარსულის დაგროვილი და შედუღებული ნამცეცებია ყოველი კუთხის, ყოველი ტომის, ყოველი პერიოდის. და მესხეთს აქ ეკუთვნის უდიდესი ადგილი, იგი ერთი მთავარ შემქნელთაგანია ქართული სულის. მესხეთი ჩაქსოვილია ამ სულში, იგი აღბეჭდილია ჩვენს ფიზიკურ სახეზე, მით გაჟღენთილია ჩვენი სისხლი, ჩვენი სხეული მისი ნაწილია და ჩვენი გული, ჩვენი გრძნობები და აზრები მესხურ განცდებისა, გავლენისა და დაღისაგან ვერასოდეს განთავისუფლდება.

ადამიანს ისე არა ამცირებს, როგორც უმადურობა. ნუ ვიქნებით უმადურები! მესხეთი დაიღუპა. აღარაა? რატომ? მესხეთი დაიღუპა მილომ, რომ გახდა პირველი მსხვერპლი მოზღვავებულ მტრის ურდოების. მესხნი დაიღუპნენ, მაგრამ მათი დაღუპვით გადარჩნენ სხვა ქართველები. მესხეთი რომ არ შეხვედროდა მტერს, მტერი რომ სხვა საქართველოს დატაკებოდა, მაშინ ხომ ეს სხვა საქართველო დაიღუპებოდა. და ვინ იცის, დღეს თუ შატბერდი, ხანძთა ბანა, ოშკია გავერანებული, მაშინ ეგებ ტფილ ისი ყოფილიყო გატიალებული. სიონი პირუტყვთა სადგურად გამხდარიყო. მცხეთა ჯამედ გადაკეთებულიყო და გელათი—ეს დავით აღმაშენებელის და თამარ მეფის საუკუნო განსვენების წმინდა ადგილი—ლამურათა საბუდარად ქცეულ იყო და მისი ნანგრევები უცხო მკვლევართა საჩიჩქნად.

არა, მხოლოდ პატივი, სიყვარული და ძმური თანლმობის გრძნობა უნდა იყოს ჩვენს გულში იმათ მიმართ, რომლებიც ჩვენთვის დაიღუპენ და ქუდი უნდა მოვიხადოთ. როცა მათ სახელს ვახსენებთ. თუ ეს არ შეგვიძლია, თუ ჩვენი გული ამას არ ჰგრძნობს, საქართველოს საკითხს ნუ მიუდგებით: ვერ გავიგებთ, ვერც გადავჭრით!

და დავამთავროთ ეს წერილი იმავ სიტყვებით, რომლითაც დავიწყეთ: აქქვენ ენა ჩვენი სასას ჩვენსა, თუ არ მოგიხსენოთ, შენ, მესხეთო!..

ს. ფირცხალავა.

## ბოლშევიკების მუშაობა ესპანეთში

ერთმა ამერიკულმა ჟურნალმა გასულ აპრილში ფრიად საინტერესო ცნობები გამოაქვეყნა იმის შესახებ, თუ როგორ ჩაერია მოსკოვი და რა მონაწილეობას იღებდა ესპანიის სამოქალაქო ომში. ამ ცნობების ავტორია საბჭოების წარჩინებული მოხელე ვინმე კრივიცკი, რომელიც ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის სამხედრო დაზღვერვას ევროპაში და რომელიც უშუალო მონაწილე იყო მის მიერ გადმოცემულ ამბების. ინტერვენციის გათავების შემდეგ კრივიცკიმ სამსახურს თავი დაანება და რუსეთშიც აღარ დაბრუნდა.

გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს შემოკლებით კრივიცკის წერილს. 1933 წელს ჰიტლერი რომ გერმანიას სათავეში მოექცა, კრემლი გარიყვის შიშმა შეიპყრო. აღმოსავლეთით იაპონიის მუქარა არსებობდა, დასავლეთით—გერმანიის და სტალინმა განიზრახა მოკავშირეების მოძებნა დიდ სახელმწიფოებს შორის. გერმანიასთან დაახლოვების ცდა უნაყოფო გამოდგა. შეეცადა საფრანგეთთან შეეკრა მტკიცე კავშირი, როგორიც ძველი რეჟიმის დროს არსებობდა, მაგრამ ვერ მოახერხა ინგლისთანაც ვერაფერს მიაღწია.

ასეთი იყო მდგომარეობა, როცა 1936 წ. 19 ივლისს გენ. ფრანკომ ბრძოლის დროშა ააფრიალა. სტალინმა ამას დიდი ყურადღება მიაქცია და იფიქრა, თუ ესპანია კრემლის ვასალი გახდა, მაშინ ინგლის და საფრანგეთს მჭიდროდ დავუახლოვდები და რომთან და ბერლინთანაც ვაჭრობას გავმართავო. ხოლო ძალიან ფრთხილად კი იქცეოდა. უყურებდა, რომ ესპანიის სამოქალაქო ომი ფართოდ გაშლილიყო. შეიძლება ისიც აჩერებდა, რომ ესპანიაში კომუნისტური პარტია სუსტი იყო, სულ სამი ათას წევრი ძლივს ჰყავდა, იქაური პროფესიონალური კავშირები და რევოლუციური ორგანიზაციები ერთიან ანტიკომუნისტურ ნიადაგზე იდგნენ.

პირველ ხანებში მოსკოვმა მხოლოდ მიტინგები და მანიფესტაციები მოაწყო ესპანიის რესპუბლიკის სასარგებლოდ და პლატონური თანაგრძნობა გამოუცხადა. რეალური დახმარება არავითარი აღმოუჩინა. მდგომარეობა მალე შეიცვალა. შემოდგომის დამდეგიდან სტალინმა პოლიტბიუროს გადაჭრილი დადგენილება გამოატანია ინტერვენციისათვის. თუმცა გარეგნულად მკაცრად უნდა გაგრძელებულიყო «ჩაურევლობის» პოლიტიკა. შეიძლება ასეთი გადაწყვეტილება გაადვილდა იმითაც, რომ ესპანიის მთავრობა ყოველ დახმარებისათვის ოქროს ფულს იხდიდა ნაღდად.

ამ ინტერვენციისათვის საჭირო იყო დაუყონებლივ ყოველგვარი სამხარ იარაღის და მასალის მიწოდება ესპანიის რესპუბლიკისათვის როგორც რუსეთიდან, ისე უცხოეთიდან. მაგრამ ამასთანავე მოსკოვს უნდოდა, რომ რესპუბლიკაში მთელი ბრძოლა წარმოებული ყოფილიყო მოსკოვის ხელმძღვანელობით და მის კანტროლს ქვეშ, რისთვისაც საჭირო ინსტრუქციებით გაიგზავნენ მადრიდში აგენტები და იქვე მოეწყო გპუ-ს განყოფილება. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ბოლშევიკებმა მოხალისეებს, რომელნიც მთელი დედამიწის ზურგიდან მიეშურებოდენ ესპანიაში რევოლუციონერების დასახმარებლად. ყველა ესენი მოსკოვის აგენტებმა ხელში ჩაიგდეს და გაუცხრილავად და უკონტროლოდ არავის განძრევის საშუალებას არ აძლევდენ.

ევროპაში ესპანიისთვის იარაღის ყიდვა და გატანა არ შეიძლებოდა, მაგრამ ბოლშევიკები ვითომც სხვა ქვეყნებისთვის მუშაობდენ და ყალბი დოკუმენტების საშუალებით იარაღს ყიდულობდენ საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, ჰოლანდიაში და გერმანიაშიც კი. ოქტომბრის თვიდან უკვე გაჩნდა ესპანიაში ბოლშევიკების მიწოდებული იარაღი, რაც დიდად დაეხმარა მადრიდს, რომელიც უკიდურეს განსაცდელში იმყოფებოდა.

28 ოქტომბერს ესპანიის სამხედრო მინისტრმა კაბალეროშ საჯაროდ გამოაცხადა, რომ ახლა საკმაოდ გვაქვს ყოველი სამხარი იარაღიო. ამის წყალობით ბოლშევიკებს დიდი სახელი გაუვარდათ და მათი გავლენა ფრიად გაძლიერდა...

უცხოელ მოხალისეთა რიცხვი ესპანიაში რამდენსამე ათასს აღწევდა. მათ შორის რუსობა ძალიან მცირე იყო. თვითონ ბოლშევიკებს არ უნდოდათ ეს. ორი ათასამდე რუსი, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ ომში, უმთავრესად იყვნენ სპეციალისტები, პილოტები, ინჟინერები, ინსტრუქტორები, მექანიკოსები და სხ. ყველას აკრძალული ჰქონდა დამოკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება ადგილობრივ მკვიდრებთან და ცხოვრობდენ განცალკევებულად.

მთელი ინტერვენციის ხელმძღვანელობა სტალინის მიერ ჩაბარებული ჰქონდა ორს აგენტს—ბერზინს და სტაშევსკის. პირველი განაგებდა უმთავრესად სამხედრო ნაწილს, მეორე იყო პოლიტიკური კომისარი. თვითონ კრივიცკიმ მოაწყო დაზვერვის საქმე ფრანკოს ზურგში და საჭირო ცნობებს აწვდიდა რესპუბლიკელებს.

ბერზინი, რომელიც ფარულად მუშაობდა ზურგს უკან, ისე როგორც სტაშევსკი, ენერგიულად შეუდგა ესპანელ რევოლუციონერების არეულ-დარეულ ძალების დარაზმვას, ურჩევდა კაბალეროს საერთო სამხედრო ბეგრის დაწესებას, და შემოიკრიბა გარშემო საბჭოთა შტაბ-აფიცრები და შექმნა მათგან მთავარი ხელმძღვანელი ორგანიზაცია მადრიდის დასაცავად. ბერზინმა მოითხოვა მიეხას მთავარსარდლად გამოცხადება, თუმცა მთავრობას ეს არ უნდოდა.

თავის მხრით სტაშევსკიმ განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია ესპანიის რესპუბლიკის ფინანსებს და იმ დებულების თანახმად, რომ ვისაც ხელში ფული აქვს, პოლიტიკასაც ის მართავსო, მალე ნეგრინის შემწეობით მოიპოვა რესპუბლიკის მთელი ოქროს ფულის კანტროლი. საერთოდ სტაშევსკი ძალიან დაუახლოვდა ნეგრინს, რომლის ცოლი რუსი იყო და რომელიც მარტო საბჭოებში ხედავდა ერთად ერთს დამხმარეს. ამას სარგებლობდა გპუ'ს გახყოფილება ჩეკისტ ორლოვის მეთაურობით და დაუნდობლად აწარმოებდა «წმენდას» რევოლუციონერთა რიგებში. რაკი ნეგრინი ასე ერთგული იყო მოსკოვის, უკანასკნელის აგენტებს უნდოდათ კაბალეროს ჩამოგდებაც, რომლის იდეალისტობა არ მოსწონდათ, და მთავრობის სათავეში ნეგრინის დაყენება. 1936 წ. ბოლოს გპუ'ს მუშაობა ნამეტნავად გაძლიერდა. ტერორი გამეფდა ყველგან. კომუნისტებმა მოაწყვეს საკუთარი საპყრობილეები, სპეციალური ტრიბუნალები, გაიჩინეს თავისი ჯალათები. მოსახლეობა შიშის ზარს ქვეშ იყო. თვით კაბალეროს მთავრობის უმაღლესი მოხელენი არ იყვნენ უზრუნველყოფილნი. ესპანიის მთავრობა ვერ ერეოდა გპუ-ს საქმეებში. გპუ გახდა სახელმწიფო სახელმწიფოში.

მადრიდი თუ გადარჩა დაპყრობას ფრანკოს მიერ, ეს მოხდა ბოლშევიკების წყალობით, ამან მათი გავლენა კიდევ უფრო გაზარდა. ესპანელ კომუნისტთა რიცხვი 200.000 მდე ავიდა. საბჭოები ესპანიას უკვე თავისად სთვლიდენ და თუ აქამდე კომინტერნის სახელითა და დროშით მუშაობდენ, ახლა შეუდგენ ახდილად მოქმედებას. საერთაშორისო ბრიგადა (მთავარი ძალა მადრიდის დამცველი) უკან მიდგა და წინ წამოდგა გპუ, ნამდვილი სტალინური სახით.

ესპანიის რესპუბლიკის მთავრობა სავსებით დაემორჩილა ბერზინის და სტაშევსკის გავლენას. დაჭერა, დევნა, «გასამართლება», დახვრეტა უმწვერვალესად გაფართოვდა, ხშირად მასიურ ხასიათს ღებულობდა. გპუ არ ზოგავდა არამც თუ ესპანელებს, არამედ იმ უცხოელ მოხალისეთაც, რომლებიც ესპანელ რევოლუციონერების დასახმარებლად მოვიდნენ. ასეთმა მუშაობამ ძალიან ჩააფიქრა კაბალერო, რომელმაც იგრძნო, თუ რა შეცდომა ჩაიდინა, რომ კომუნისტებთან საერთო ფრონტი შექმნა. თანდათან მომზადდა ნიადაგი ესპანიის რევოლუციონურ ძალების შინაურ არევ-დარევის და დაშლის.

ამ დროს კრივიცკის მოსკოვიდან ბრძანება მოუვიდა, სამხედრო იარაღის შეტანა ესპანიაში შეასუსტეო. ამით სტალინს უნდოდა ეჩვენებია კაბალეროსათვის, რომ თუ ჩვენ არ მოგვეხმარეთ და ჩვენთან არ იქნებით, კვლავ საფრთხეში ჩავარდებით.

მთელ ესპანიაში მხოლოდ კატალონია იყო, რომ ეწინააღმდეგებოდა გპუ'ს და ზურგს უმაგრებდა კაბალეროს. სტალინმა გადაწყვიტა მედგარი იერიშების მიტანა კატალონებზე და კაბალეროს მომხრეებზეც, რათა სრულიად დაეუფლებოდა ესპანიას და გადაექცია იგი საბჭოების კოლონიად. ბარსელონაში გაიგზავნა ერთი, პარიზში მცხოვრები, რუსი ანარქისტი, რომელიც საიდუმლო აგენტი იყო გპუს და რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ანარხო-სინდიკალისტურ წრეებში. მას დაევალა პროვაკაციის მოწყობა ბარსელონაში, რომ იქ მოწყობილიყო ისეთი არეულობა, რაიც საბაბს მისცემდა სამხედრო ძალებს კატალონიის ანტი-კომუნისტური ელემენტების სრული განადგურებისათვის.

გპუს აგენტის მუშაობამ არ დააყოვნა ნაყოფის მოტანა. 1937 წ. მაისში ბარსელონაში ანარხისტებმა აჯანყება მოახდინეს და ბრძოლა მათსა და რესპუბლიკის მთავრობის ჯარს შორის ხუთს დღეს გრძელდებოდა. აჯანყებულები დამარცხდენ და ესპანელმა კომუნისტებმა (რასაკვირველია, გპუს კარნახით) მოითხოვეს, რომ დაშლილი ყოფილიყო ყველა პარტია და პროფესიონალური კავშირი ესპანიის მთელ ტერიტორიაზე, რომ პრესა, რადიო, ყოველი შეკრებულება და დაჯგუფება დამორჩილებოდა გპუს და სხ. კაბალეროს არ შეეძლო ამ მოთხოვნილებების შესრულება და იგი სამსახურიდან გადადგა. მთავრობის თავმჯდომარე გახდა ბოლშევიკების კანდიდატი ნეგრინი. ესპანიის რესპუბლიკის დიდძალი ოქროს ფული გადატანილ იქნა მოსკოვში. ბოლშევიკებს უხვი საშუალება მიეცათ არამც თუ თავის სამხედრო დახმარების, არამედ ყოველი იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც სჭირდებოდათ მთელი დამარღვეველ—ბოლშევიკურ—ჩეკისტურ მუშაობისთვის ესპანიაში.

ბოლოს და ბოლოს მაინც მოსკოვის ასე ბრწყინვალედ დაწყებული საქმე არაფრით დამთავრდა. ბოლშევიკების ინტერვენციით შეშინებულმა ტოტალიტარულმა სახელმწიფოებმა უფრო გაბედული და ენერგიული დახმარება აღმოუჩინეს ფრანკოს, რომელიც ისევ გამაგრდა და ფრიად გააძლიერა ბრძოლა. საერთაშორისო ვითარება ძალიან დაიძაბა და წინ დაისახა აჩრდილი მსოფლიო გართულების და ომის. ეს კი სტალინისათვის არა საწადელი იყო. იგი ყოველთვის ეუბნებოდა თავის აგენტს: ფრთხილად იყავით და ერიდეთ ზარბაზნების ცეცხლსო.

ბოლშევიკებმა ნელნელა ხელი შეუშვეს ესპანი-

ის ამბებს. ყოველი დახმარება შენელდა და ბოლოს მთლად შეწყდა. ამავე დროს სტალინს გაუცრუვდა იმედი, რომელიც ჰქონდა ინგლისის და საფრანგეთის მხრით—მისი მხარის დამჭერი და მეგობარი იდენი და ბლიუმი მთავრობიდან გავიდნენ. ფრანკოს შანსებმა თანდათან აიწია და როგორც ყველამ უწყის, ესპანიის ასე ხანგრძლივი და მრავალნაირად გართულებული სამოქალაქო ომი დასრულდა ანტი ბოლშევიკური ნაციონალისტური ძალების სრული გამარჯვებით.

საგულისხმიეროა და დამახასიათებელი; სტალინის ორივე მთავარი რწმუნებული ესპანიაში ბერზინი და სტაშევსკი, ისე როგორც სხვა ზოგიერთი ბოლშევიკი, სრულიად «დაიკარგნენ» უკვალოდ და გპუს (თუ სტალინის?) გარდა არავინ იცის მათი ბედი.

ალბად ამან გააფრთხილა კრივიცკი, ზემოყვანილ ცნობების გადმომცემი, რომ აღარ მოისურვა საბჭოთა სამეფოში დაბრუნება.

## ქართველ ემიგრაციის საყურადღებოდ

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამ ბოლო ოროს ზოგიერთი პირები ბოროტად სარგებლობენ «შეფიცულების» სახელს და საეჭვო პოლიტიკური კომბინაციებისათვის «შეფიცულების» წარსულით ვაჭრობენ და წმიდა სახელს დღეს ლაფში სვრიან. არავის აქვს უფლება ასე ბოროტად ისარგებლოს ჩვენი სახელი და თვით შეფიცულებს პირველად ყოვლისა არა აქვთ ნება, გადასდგან ისეთი ნაბიჯი, რომელიც მათ შერცხვენამდე მიიყვანს.

საერთოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ძველ, ნამდვილ შეფიცულთაგან მხოლოდ შვიდი კაცი არის დარჩენილი. ეს ის პირები არიან, რომელნიც 1922-1924 წლების განმავლობაში ბრძოლას ეწეოდენ. ამ შვიდ კაცს გარდა, აქ მყოფი დანარჩენი «შეფიცული» ზოგი 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დროს შემოგვემატენ, ზოგი გზაში შეგვეფიცნენ და ზოგი კიდევ პარიზში. მათ შორის არა ერთია ისეთი, რომელსაც თოფიც კი არ გაუსროლია.

ზოგიერთი შეფიცული ჩაერია ემიგრაციის აქტიურ პოლიტიკურ დავაში და ჟურნალ «კავკაზის» ფურცლებზე წერილიც მოათავსეს.

იმის მაგივრად, რომ ისინი ქაქუცას დროშის სიმაღლეზე იდგნენ, პარტიულ-ჯგუფურ ამბებში არ ერეოდნენ, ქაქუცას ანდერძს იცავდნენ, იგინი მოუწოდებენ ახალგაზდებს «კავკაზ»-ში მოიყარონ თავი! ეს დიდად სამწუხაროა, რადგან შეფიცულების დროშა არ იყო რომელიმე დაჯგუფების დროშა, მით უმეტეს ვერ იქნებოდა იგი ბამატის დროშად; იგი იყო მთელი საქართველოს დროშა, რომელიც ხელში ეპყრა ქაქუცას, და დღესაც ველით, რომ ეს მთელი საქართველოს დროშა კვლავ აფრიალდება და პასუხიც მოეთხოვება მათ, ვინც დღეს თავისი მოქმედებით ქაქუცას დროშის ქვეშ დახოცილ გმირთა საფლავებს შეურაცყოფას აყენებენ.

შეფიცული ლელო ჩიქოვანი.

## ქართველები საფრანგეთში

საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა ასოციაცია პარასკევს, 26 მაისს, საღამოს 8 ნახ. საათზე მართავს საღამოს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 21 წლის თავის აღსანიშნავად.

მისამართი: Salle de la Soc. d' Encouragement. 44, rue des Rennes.

— კვირას 7 მაისს. ქართველ ტუბერკულოზით ავადმყოფთა დამხმარე კომიტეტის სახსრის გასაძლიერებლად გაიმართა საღამო. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს დ. ასათიანმა, კუპლეტები, ბ-ნ ვ. მგელაძემ და გ. ყიფიანმა საკუთარი ლექსებით, ქ-ნმა ლაბაძისამ—სიმღერით, უკრაინელ ქალთა ტრიომ, რომელმაც მშვენივრად შეასრულა ფალიაშვილის «იავნანა» და აგრეთვე ორმა ქალიშვილმა—ეთერი რუხაძემ და ეთერი ფალავამ. ეთერი რუხაძის ნიჭს ვიცნობთ მისი კონცერტით, რომელიც მან გავოს დარბაზში მოაწყო. ეთერი ფალავას შესახებ კი უნდა ვსთქვათ, რომ პირველად ვხედავთ ამ პატარა ბავშს სერიოზულ ცეკვაში და პირდაპირ განცვიფრებული ვართ მისი ცეკვისადმი ასე სერიოზულად მიდგომით, რითმის ცოდნით და შეთვისებით. ხალხი საღამოს ბლომად დაესწრო და თავისი წვლილიც გულუხვად გაიღო. საღამომ ყოველმხრივ ძალიან კარგად ჩაიარა.

— 16 მაისს ერარის დარბაზში ქ-ნმა მ. სალბერგვარნაძემ გამართა პიანინოს რესიტალი. მის მიერ შესრულებული იქმნა მოცარტის, ბეტჰოვენის, შოპენის, შუმანის და ლისტის ნაწარმოებნი. ქ-ნმა ვარნაძემ მშვენიერი გემოვნება და ტექნიკა გამოამჟღავნა კლასიკების ნაწარმოებთა შესრულების დროს; განსაკუთრებით მეორე განყოფილებაში. კონცერტს ხალხი ბლომად დაესწრო და კონცერტანტი ხანგრძლივი ტაშითა და ყვავილებით დააჯილდოვა.

## უკრაინული კონცერტი

შაბათს 13 მაისს ქართველების კარგმა მეგობარმა უკრაინელების კომპოზიტორმა გ. პონომარენკომ გამართა კონცერტი; მისი ნაწარმოებნი შესრულებულ იქნა გუნდის მიერ, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობდნენ ჩვენი თანამემამულენიც: ვ. ბარკალაია და გ. კობალაძე. გუნდის გარდა მონაწილეობდენ სოლისტებიც ქალები და ვაჟები. კონცერტმა ჩინებულად ჩაიარა. კონცერტს ქართველი საზოგადოება ბლომად დაესწრო.

---

ნიკო ნაკაშიძე და მეუღლე ეთერი აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ, რომ ქ. ტფილისში გარდაიცვალა მათი საყვარელი, ცხოვრებით დატანჯული, დედა ეფროსინე ნიკოლოზის ასული ნაკაშიძისა.

Berlin SO. 36. Machtigstr. 12.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuville.*

Le Gérant : J. DUCROS

ф-1206